MES 0 20 0000862025

18/09/2020

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომისთარიღი: 04.09.2020
სხდომისდაწყებისდრო: 16:13 სთ
სხდომისდასრულებისდრო: 20:10 სთ
საბჭოსთავმჯდომარე: ირაკლი ბურდული
საბჭოსმდივანი: ნიკა თიკანაშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ირაკლი ბურდული** - სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **დიმიტრი გეგენავა** - შპს „სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის" აფილირებული ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი - საბჭოს მდივანი;
4. **მანანა კევლიშვილი** - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
5. **ნინო დობორჯგინიძე** - სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;
6. **გურანდა ჭელიძე** - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის" აფილირებული პროფესორი;
7. **პაატა ბრეკაშვილი -** სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი მენეჯმენტის მიმართულებით;
8. **გიორგი თურქია** - ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) პროფესორი, ბიზნესის მიმართულების ხელმძღვანელი - სხდომის მდივანი;
9. **ირმაწერეთელი -** გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) მრჩეველი;

10. **ნიკოლოზკიკნაძე -** შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ სადოქტორო პროგრამის სტუდენტი;
11. **ზურაბორჯონიკიძე -** სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფესორი;
12. **გაიანესიმონია** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი;
13. **ზურაბ გვიშიანი -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი;
14. **რომეო გალდავა -** სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი.
15. **თამარ ტუფინაშვილი** - შპს „საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

სხდომაზედამსწრეპირები

სსიპ - განათლებისხარისხისგანვითარებისეროვნულიცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგ ენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ქეთევან თელია	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
2	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
3	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
4	თამთა ანთიძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლოდაწესებულებისდასახელება	სტატუსი	საკითხი
1	ირინე ფხაკაძე	სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	დეკანი	I
2	თეა კორძაძე	სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის სამსახურის უფროსი	I
3	მიხეილ სამსონია	სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	I
4	ნინო აბულაძე	სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	I-III
5	მარინა ქორიძე	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	დეკანი	IV
6	მაია ვანიძე	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის სამსახურის	IV

			უფროსი/პროგრამის ხელმძღვანელი	
7	თეა ქოიავა	სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	IV
8	მარიამ მირესაშვილი	სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	V
9	მარინა ტურავა	სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ასოცირებული პროფესორი	V

აკრედიტაციისექსპერტები

N	სახელი, გვარი	ინფორმაციაელექტრონულისა შუალებითმონაწილეობისშესა ხებ	საკითხი
1	ლაშა ბაკურიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I-II-III
2	ნათია კვიჟინაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I-II-III
3	ანი ბილანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I-II-III-IV
4	რევაზ კორაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
5	ინგა ლომაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
6	ნინო პოპიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	V
7	ხვთისო მამისიმედიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	V

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27 -ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, ირაკლი ბურდულმა.
სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 16:13 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:
1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

3. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

4. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბუნებრივ ნაერთთა ანალიზის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგისცვლილებასთანდაკავშირებით

დიახ

შუამდგომლობის ინიციატორი უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი, სოფიკო ქურასბედიანი.
ცვლილების არგუმენტაცია: წინა სხდომიდან გადატანილი საკითხის დამატება: სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურისა და ლიტერატურის თეორიის სადოქტორო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა.

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბუნებრივ ნაერთთა ანალიზის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურისა და ლიტერატურის თეორიის სადოქტორო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა.

1. პირველი საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	ფარმაცია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი[2]	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№65, 23.09.2011
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[3]	ფარმაცია
6	უმაღლესი განათლების საფეხური[4]	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	
8	კვალიფიკაციის დონე[5]	მე-6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფარმაციის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[6]	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0916 ფარმაცია
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
15	განხორციელების ადგილი[7]	

		თამარ მეფის ქ., №59; ქალაქი ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზირი №100, სასწავლო კორპუსი №11, 4600, საქართველო,
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	
17	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	

2. მეორესაკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	ფარმაცია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი[2]	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	№80, 19.04.2012
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[3]	ფარმაცია
6	უმაღლესი განათლების საფეხური[4]	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	
8	კვალიფიკაციის დონე[5]	მე-7
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფარმაციის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[6]	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0916 ფარმაცია
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
15	განხორციელების ადგილი[7]	თამარ მეფის ქ., №59; ქალაქი ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზირი №100, სასწავლო კორპუსი №11, 4600, საქართველო,
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

3. მესამესაკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1]	ფარმაცია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი[2]	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	

5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება[3]	ფარმაცია
6	უმაღლესი განათლების საფეხური[4]	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	
8	კვალიფიკაციის დონე[5]	მე-8
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფარმაციის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[6]	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0916 ფარმაცია
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
15	განხორციელების ადგილი[7]	თამარ მეფის ქ., №59; ქალაქი ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზირი №98, სასწავლო კორპუსი №11, 4600, საქართველო,
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლოდაწესებულებისმიერსაბჭოსწევრ(ებ)ისაცილება

- არა

საბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველისაკითხისზეპირიმოსმენა
ექსპერტებისპოზიციისგანხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ლაშა ბაკურაძე, მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს და შემდგომ საბჭოს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის მიერ საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში შემუშავებული რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია შეფასების სისტემის შეცვლა და მრავალკომპონენტიანი შეფასების სისტემის დანერგვა, აგრეთვე გამოყენებულ ქულათა ზღვრების გაზრდა;
- რეკომენდებულია სილაბუსებში ახალი სასწავლო ლიტერატურის მითითება/გამოყენება;
- სტუდენტების კონფერენციებში და პრაქტიკულ სამუშაოებში ჩართულობის გაზრდა;
- რეკომენდებულია საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლითი ნაწილის შეტანა და ხარჯების დეტალიზაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, თეა კორძაძემ მადლობა გადაუხადა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს ფარმაციის პროგრამების განხილვისთვის და განაცხადა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განვითარება შეუძლებელია კრიტიკული შეფასების, დარგის სპეციალისტების მოსაზრებებისა და გამოცდილების გაზიარების გარეშე, ამიტომ მათთვის მნიშვნელოვანია ექსპერტთა ჯგუფის რჩევები/რეკომენდაციები და აღნიშნა, რომ დაწესებულების წარმომადგენლები ცალსახად იზიარებენ რეკომენდაციებს.

პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მრავალკომპონენტიან შეფასების სისტემასთან დაკავშირებული რეკომენდაცია მათ უკვე გაითვალისწინეს; გადაიხედა ყველა სილაბუსი, შეიცვალა შეფასების სისტემა და გახდა მრავალკომპონენტიანი. მაგ., სილაბუსს „ფარმაცევტული ტექნოლოგია 2“ დაემატა ლაბორატორიული მუშაობის, თეორიული მასალისა და პრაქტიკული უნარების შეფასება, ასევე, პრეზენტაცია და ესსე. დანარჩენ რეკომენდაციებთან დაკავშირებით სიტყვა გადასცა ფაკულტეტის დეკანს, ირინა ფხაკაძეს.

ფაკულტეტის დეკანმა, ირინა ფხაკაძე მიესალმა საბჭოს წევრებსა და ექსპერტებს. მან მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გამოვლენილი პროფესიონალიზმისთვის და პროგრამის დეტალური შეფასებისათვის. მან აღნიშნა, რომ დაწესებულების წარმომადგენლები ეთანხმებიან ექსპერტთა მიერ გაცემულ რეკომენდაციებს და აქვთ იმედი, რომ მათი გათვალისწინების შემდეგ ფარმაციის პროგრამები განხორციელების პროცესში განვითარდება და მოერგება იმ საჭიროებებს, რომლებიც არსებობს თანამედროვე მოთხოვნების საფუძველზე.

მან ბიუჯეტთან დაკავშირებით განაცხადა, რომ უნივერსიტეტს, რომელიც 9 ფაკულტეტსა და 100-ზე მეტ პროგრამას ახორციელებს, ყველა მოქმედი პროგრამის გამყარებისა და განხორციელებისათვის გააჩნია ბიუჯეტი და გარდა ამ საერთო ბიუჯეტისა ფაკულტეტებს გამოყოფილი აქვთ ე.წ. ხარჯვითი ლიმიტი, რომელსაც ფაკულტეტი განკარგავს დეპარტამენტიდან მიღებული საჭიოებების მიხედვით, რაც შეეხება თვითონ პროგრამის ბიუჯეტს, მისი შემუშავება ხდება ცალ-ცალკე პროგრამებისათვის, ამას დაწესებულებამ „პროგრამის ხარჯი“ უწოდა, სპეციალური სტრუქტურა, რომელიც გარკვეულ პროგრამებზე დაფუძნებით განსაზღვრავს პროგრამის ფარგლებში შესასრულებელ სამუშაოს მოცულობის მიხედვით, ითვალისწინებს ადმინისტრაციული, თუ დამხმარე პერსონალის ხელფასებს, კომუნალურ ხარჯებს, სტიპენდიებისა და გრანტების სახით გამოსაყოფ თანხებს, გადასახადებს, ლაბორატორიული აღჭურვილობისა თუ ინფრასტრუქტურის განვითარების თვალსაზრისით სხვა ხარჯების გათვალისწინებით და მეტიც აღნიშნულ ხარჯს ემატება რისკის დაზღვევაც, რომელიც გათვალისწინებულია ყველა პროგრამის ბიუჯეტის შედგენის დროს.

მან აღნიშნა, რომ თვითონ ვიზიტისა და ინტერვიუების მიმდინარეობის დროს, მათ გამოაჩინეს, რომ წინა წელს პრიორიტეტულ იყო დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის გაუმჯობესება და აღნიშნული პროგრამის მოგებისათვის სახელმწიფოს მიერ შემუშავებული დარგობრივი სტანდარტიდან გამომდინარე მოთხოვნებთან. მან დასძინა, რომ იმდენად დაწვრილებით ისაუბრა ზემოაღნიშნულ პროგრამასთან მიმართებით, რომ ექსპერტებს შესაძლებელია შექმნოდათ შთაბეჭდილება, რომ თითქოს არ მოხდა ფარმაციის პროგრამების განვითარება, იმდენად, როგორც „დიპლომირებული მედიკოსის“ პროგრამის, თუმცა აღსანიშნავია, რომ „დიპლომირებული მედიკოსის“ პროგრამის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებზე, არა მხოლოდ ინფრასტრუქტურის აღჭურვაზე, არამედ განამხორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე, იმ მრავლობითი

ტრენინგების/სამუშაო შეხვედრების მონაწილეები იყვნენ ფარმაციის პროგრამის განმახორციელებლებიც და ყველა აღნიშნული სამუშაოს დაგეგმვასა და განხორციელებაში ფარმაციის პროგრამის აკადემიური პერსონალიც იყო ჩართული, შესაბამისად მედიცინასა და სამედიცინო განათლებაში თუ კი რაიმე ახალი სწავლებისა და შეფასების მეთოდები ინერგება, ხდება მათი გაზიარება, ამრიგად, ხდება მათი ასახვა ბიუჯეტში.
საბჭოს თავმჯდომარემ დასვა კითხვა ერთ-ერთ რჩევასთან დაკავშირებით, რომელშიც წერია: „სასურველია სილაბუსების სათაურის და თემატიკის ჰარმონიზაცია“, მას დარჩა შთაბეჭდილება ამ წინადადების შინაარსიდან გამომდინარე, რომ სილაბუსების სათაური არ შეესაბამება/ნაკლებად შეესაბამება თემატიკას და აუცილებელია უნისონში მოვიდეს თემატიკა სილაბუსის სათაურთან. მას დააინტერესა რატომ არის რჩევაში და რას გულისხმობს.
ლაშა ბაკურიძემ უპასუხა, რომ თემატიკის განხილვისა და გასაუბრების დროს იყო ასეთი რჩევა მიცემული, რომ რამდენიმე სილაბუსში თემატიკა არ შეესაბამებოდა სათაურს, ამიტომ იქ გარკვეული კორექტირებაა საჭირო, თუმცა ეს არ იყო დიდი რაოდენობით სილაბუსში.
საბჭოს თავმჯდომარემ იკითხა სავალდებულო საგნის სილაბუსებს ეხებოდა ეს თუ არჩევით საგნებს, რადგან თუ სავალდებულო საგნებში იყო რამდენიმეში კი არა, თუნდაც ერთ საგანში სილაბუსის სათაური არ ემთხვეოდა თემატიკას ან პირიქით, მაშინ ძირითადი კითხვაა როგორ გადის ის შედეგზე.
პროგრამის ხელმძღვანელმა, მიხეილ სამსონიამ მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს, რადგან დეტალურად განიხილეს აღნიშნული პროგრამები და დააფიქსირეს საინტერესო პოზიციები სხვადასხვა საკვანძო საკითხებთან მიმართებაში, რაც შეეხება კითხვას სილაბუსის თემატიკისა და სათაურის თანხვედრაზე, ისინი აკადემიური თავისუფლების ფარგლებში პროფესორ-მასწავლებლებს აძლევენ სრულ თავისუფლებას რომ სხვადასხვა ჭრილში განიხილონ ესა თუ ის საკითხი. მაგ: ფარმა-ეკონომიკის საკითხებს განიხილავენ, როგორც „სოციალურ ფარმაციაში“ ასევე „ფარმაკოლოგიაშიც“, როდესაც საქმე ეხება კონკრეტულ პრეპარატს, ფასთა მიმართ პოლიტიკა ძალიან საინტერესოდ ხორციელდება სხვადასხვა ქვეყანასაში, შესაბამისად ამ საკითხის განხილვა ხდება სხვადასხვა ჭრილში და შესაბამისად ეს დასაშვებია, ამის მიუხედავად ცალკეულ საკითხთან მიმართებაში შეინიშნა ასიმეტრია, რომელიც გაასწორეს კურსის ხელმძღვანელებთან ერთად და აღნიშნა, რომ საბჭოს წევრებისთვის გაგზავნილი სილაბუსები უკვე ჩასწორებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ კითხვები ან მოსაზრებები არსებობის შემთხვევაში.

საბჭოს წევრმა, მანანა კევლიშვილმა ერთ-ერთ რჩევასთან დაკავშირებით დასვა კითხვა ექსპერტთა ჯგუფის მიმართ, ბოლო რჩევა, რომელიც გულისხმობდა, რომ სასურველია მეტი პროფილური აკადემიური პერსონალის მოზიდვა, მან როგორც პროგრამის შესწავლისას ნახა CV-ებში მხოლოდ ორი იყო ფარმაციის დიპლომით და დაინტერესდა ექსპერტები ფიქრობენ თუ არა, რომ არ არის საკმარისი ის კადრი ფარმაციის მიმართულებით, რათა პროგრამა გავიდეს შედეგზე.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ლაშა ბაკურიძემ განაცხადა, რომ ამჟამინდელი მდგომარეობით აკადემიური პერსონალი სრულიად საკმარისია შედეგზე გასასვლელად, თუმცა დაატვირთვა საკმაოდ მაღალია და ამასთანავე უნივერსიტეტს გააჩნია ამბიციური გეგმები, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის განვითარებისა და დატვითვის გაზრდის შესახებ, აქედან გამომდინარე, იქნა გაცემული რჩევა, თუმცა უნივერსიტეტის პოლიტიკაც ამას განსაზღვრავს, რომ ამ თანმიმდევრობით გაზარდოს უფრო მეტი კვალიფიციური კადრი, რომელიც შემდეგ აკადემიურ ნაწილშიც დასაქმდება და უნივერსიტეტს განვითარების უფრო მეტი პერსპექტივა ექნება.
პროგრამის ხელმძღვანელმა, მიხეილ სამსონიამ განაცხადა, რომ ფარმაციაზე ჰყავთ 5 პროფესორი, 24 ასოცირებული პროფესორი და 1 ასისტენტ-პროფესორი, ანუ ყველა მათგანს აქვს

მიღებული საბაზისო ფარმაცევტული განათლება; ორს საქართველოს ფარგლებს გარეთ, პირადად მას კი დამთავრებული აქვს სანქტ-პეტერბურგის ფარმაცევტული აკადემია, სადაც გაიარა ასპირანტურა, მონაწილეობას იღებდა სასწავლო პროცესში და დისტერტაცია დაცული აქვს სამხედრო-სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში ტოქსიკოლოგიისა და ფარმაკოლოგიის კუთხით. რაც შეეხება პროფესორების კვალიფიკაციას, ეს კვალიფიკაცია დასტურდება მათი შრომებიდან, რომლებიც გამოქვეყნებულია იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში, ასევე აქტიურად არიან ჩართულნი საერთაშორისო კონფერენციებზე. მათ ბოლოს მონაწილეობა მიიღეს მსოფლიო ფორუმში, სადაც წარდგენილი ჰქონდათ ციტოსტატიკის სუბლინგუალური ფორმა, რომელმაც იმდენად დიდი მოწონება დაიმსახურა, რომ შესთავაზეს მოხსენებით გასვლა, რაც საკმაოდ დიდი პატივია, რადგან 6 თვე გადის ნაშრომი რეცენზირებას და მხოლოდ ამის შემდეგ რთავენ გატანის უფლებას, გარდა ამისა მხოლოდ გრიფის შესაბამისად ხდება ლექციებზე შესვლა, მაგ: თუ დაცულია დისტერტაცია ფარმაცევტულ ქიმიაში, მას უფლება აქვს წაიკითხოს სასწავლო კურსი ფარმაცევტულ ქიმიასა და ტოქსიკოლოგიურ ქიმიაში და ა.შ. მაგისტრატურაში აუდიტორიაში მუშაობის უფლებას რთავენ მხოლოდ ხარისხის მქონე სპეციალისტებს, მისი აზრით ეს არ უნდა ითვლებოდეს მინუსად. ასევე, მათი აკადემიური პერსონალის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომები ციტირებულია ევროპის, აშშ-ის, შუა აზიის სახელმძღვანელოებში, „გაიდლაინებში“ და საკმაოდ საინტერესო შრომები აქვთ სუბლიმალური ფორმის გარდა აქვთ „ვირო თერაპია“, რაც თანამედროვე მიმართულებაა და ავთვისებიანი სიმსივნის იმუნოთერაპიას გულისხმობს და ის ფაქტი, რომ მაღალი იმპაქტ-ფაქტორის მქონე სიმსივნის კვლევის ჟურნალი იყენებს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 10 წლის წინ გამოქვეყნებულ ნაშრომს, მიუთითებს იმაზე, რომ მათ არ აქვთ ცუდი პოტენციალი, სათანადო პირობების არსებობის შემთხვევაში ისინი შეძლებენ წინსვლასა და უკეთესი შედგების დადებას.

ფაკულტეტის ხარისხის მართვის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა, ნატო ალავიძემ ისაუბრა, რომ მათი სურვილია, კადრების განახლება და ასაკობრივი გაახალგაზრდავება, ამიტომ ცდილობენ, რომ ეს ხალხი დააკავონ ქალაქში და არ იყოს კადრების მივლინება, ანუ ახალი სკოლადამთავრებულები არ გარბოდნენ დიდ ქალაქებში და შეინარჩუნონ ფარმაციის მიმართულების პროგრამები, მათ პოლიტიკაში ეს გათვალისწინებულია და შესაბამისად იღებენ აღნიშნულ შენიშვნასაც.

საბჭოს წევრმა ნიკოლოზ კიკნაძემ აღნიშნა რომ საკითხზე, რომელზეც ისაუბრეს წინა სხდომაზე, ახლაც მოუწევთ საუბარი, რადგან ვარაუდობს, რომ თითქმის ყველგან ერთი და იგივე პრობლემაა, ფარმაციის კვალიფიკაციის აღმწერის თანახმად, ფარმაცია შეისწავლის წამლებს და მათ გავლენას ადამიანზე, მოიცავს მომზადებას, განაწილებასა და ადმინისტრირებას. აღნიშნა, რომ განაწილებასა და ადმინისტრირებაზე საუბრის შემთხვევაში დაწესებულებას დასალაგებელი აქვს ლოჯისტიკა, ოპერაციათა მენეჯმენტი და პროექტების მართვა. თვითონ პროგრამაში ჩართულ კურსებს რაც შეეხება, აქ სამი ერთმანეთისგან განსხვავებული კურსია სოციალურ ფარმაციაზე, ხოლო ერთი კურსია მარკეტინგსა და მენეჯმენტზე - „ფარმაცევტული ბიზნესის მენეჯმენტი და მარკეტინგი“, სამივე შემთხვევაში, მაგ., „სოციალური ფარმაცია 3-ის“ სილაბუსში მხოლოდ მეთხუთმეტე კვირას არის განხილული ფარმა-ეკონომიკა, როგორც ჯანდაცვის ეკონომიკის შემადგენელი საკითხი და მისი თეორიული საფუძვლები, „ფარმაცევტული ბიზნესის მენეჯმენტი და მარკეტინგის“ სილაბუსში ორი სავალდებულო ლიტერატურაა - მახარაძის, გამოთქვა ვარაუდი, რომ ორივე ერთი და იგივე ლიტერატურაა, გამოცემულია 1998 წელს - „ფარმაციის მენეჯმენტი“, ხოლო მეორე „ფარმაციის მარკეტინგის საფუძვლები“ – 2009 წელს, ეს ლიტერატურა სხვა სილაბუსებშიც არის გათვალისწინებული, თუმცა უფრო ადრე, თავისი შინაარსით ეს რამდენიმე კურსი სწავლების დონეს კი შეესაბამება, მაგრამ მასში განხილული საკითხები და ლიტერატურა, რომლითაც ამ კუთხით აწოდებენ ინფორმაციას, ცალსახად გადასამუშავებელია და მენეჯმენტისა და ბიზნესის ადმინიტრირება დასამატებელი აქვთ კურსში.

საბჭოს წევრმა, რომეო გალდავამ განაცხადა, რომ სავალგებულო კურსია „მათემატიკა და სტატისტიკა მედიცინაში“, ეს სილაბუსი ფაქტობრივად მთლიანად არის სტატისტიკა, ამიტომ

უმჯობესი იქნებოდა მათემატიკა და სტატისტიკა ყოფილიყო ცალ-ცალკე. ხოლო შემდეგ „მედიცინაში“ რომ არის ტერმინი, არ ჩანს და სასურველი იქნებოდა, მათემატიკის კურსი (მაგ., კალკულუსი) ცალკე ყოფილიყო და სტატისტიკის ცალკე, ანუ მომხდარიყო მათი გამიჯვნა, ან თუ არ გაიმიჯნებოდა მაშინ ყოფილიყო საკითხები მათემატიკისაც და სტატისტიკისაც.
საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ საბჭოს წევრებისთვის გაგზავნილ დოკუმენტაციაში არ იყო კურიკულუმი, იყო მხოლოდ თვითშეფასება, ამიტომ ვერ ნახა პროგრამის მიზანი და სთხოვა მარტივად აეხსნათ, როცა სტუდენტი დაამთავრებს სწავლას (ქუთაისში დარჩენა არ შეიძლება იყოს პროგრამის მიზანი) რა შეუძლია კურსდამთავრებულმა აკეთოს, იმუშავებს და რა პროცესებში შეუძლია მას მიიღებს მონაწილეობას, რადგან სათაური - „ფარმაციის ბაკალავრი“, ბუნდოვანია.
პროგრამის ხელმძღვანელმა, მიხეილ სამსონიამ განაცხადა, რომ თანმიმდევრობით უპასუხებს ყველა კითხვას:
პირველ კითხვასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მოძველებული ლიტერატურის საკითხი აღმოფხვრილია, სავალდებულო ლიტერატურაში ჩასმულია არმსტრონგი - ბაკურ სულაკაურის გამოცემა „მენეჯმენტის საფუძვლები“ – 2015 წელი;
ფარმა-ეკონომიკის საკითხთან დაკავშირებით განაცხადამ, რომ ეს არის ახალი მიმართულება, რომელიც გამოუცდელია, ფას-წარმოქმნის პოლიტიკა იყო არსებითად გასხვავებული. აშშ-ში შემუშავდა კანონპროექტი ობოლი პრეპარატების დასაცავად, ეს არის პრეპარატები, რომლებსაც იყენებენ იშვიათი დაავადებების სამკურნალოდ, თვითონ სახელმწიფო (აშშ) მაქსიმალურად უჭერს მხარს კომპანიებს საგადასახადო შეღავათების სახით, სუბსიდიების სახით, რადგან მათ არ შეაჩერონ კვლევა-ძიება ამ მიმართულებით. მაგ: პრეპარატი სოლირისის ერთი წლის კურსი ჯდება 409.000$, რომლის გადახდა არცერთ პაციენტს არ შეუძლია. თუკი ისინი ბიზნესის კუთხით მიუდგებიან ფარმაციას, ის არ იქნება ხელმისაწვდომი პაციენტებისთვის, ფარმაცევტული კომპანიები შეაჩერებენ კვლევას და შევლენ ჩიხში, სწორედ ამიტომ არის აუცილებელი, რომ როდესაც საქმე ეხება ნებისმიერ ფარმაკოთერაპიას შემუშავდეს მისი ეკონომიკური ასპექტები, ხარჯთაღრიცხვა და დახმარება აღმოეჩინოს მოსახლეობას, რადგან ასპექტი მაინც ფოკუსირებულია მოსახლეობაზე. საქართველოში ეს პრობლემა მწვავედ დგას, ბოლო პრეპარატი ეს არის „პერჯეტა“ სარძევე ჯირკვლის კიბოს სამკურნალო პრეპარატი, „ოპტიოკეიტუდა“ - მელანომის სამკურნალო პრეპარატები, რომლებმაც მთლიანად დაამსხვრიეს ონკოლოგიაში მიღებული TNM სტანდარტები, მაგ: მეოთხე სტადიის დროს, ამ პრეპარატების გამოყენებით პაციენტი იცოცხლებს მანამ, სანამ მის ორგანიზმში ხდება იმუნური პასუხი ბლოკატორების ინჰიბიტორები. პრეპარატის შედეგები არის ფანტასტიკური, სულ სხვა სამყაროა გენოთერაპიული პრეპარატები, ისინი არიან ვირუსთან ასოცირებული პრეპარატები, რომლებიც შეჰყავთ უჯრედში, ახდენენ გენეტიკური დეფექტის აღმოფხვრას და სრულად გამოლევას. აღსანიშნავია, რომ დაახლოებით 30-40 წელიწადში შესაძლებელი იქნება დაუნის სინდრომის განკურნებაც კი;
რაც შეეხება სტატისტიკასა და მათემატიკის შესახებ კითხვას, უპასუხა, რომ მათემატიკური დამუშავების გარეშე სტატისტიკაში ვერ დადებენ იმ შედეგს, რომელიც სჭირდებათ ამა თუ იმ მედიკამენტის ეფექტურობის შესაფასებლად. ამ ეტაპზე ყველაზე მწვავედ დგას კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინის შექმნა, თავის დროზე ასევე მწვავე იყო გრიპის ვირუსის საწინააღმდეგო ვაქცინების ეფექტურობის შეფასება და როდესაც, დაახლოებით 20-30 წლის შემდეგ, რეგისტრაციაში გატარებიდან ჩატარდა სტატისტიკური მონაცემები აღმოჩდა, რომ „ინფლუატივ ინჯექტ“, რომელსაც იყენებდნენ ვაქცინების ეფექტურობის შესაფასებლად, მათი ეფექტურობა მერყეობდა 30-40%-ის ფარგლებში. ამრიგად, სტატისტიკური მეთოდებით შესაძლებელია შეფასდეს რამდენად ეფექტური იქნება ესა თუ ის მედიკამენტი კონკრეტულ პათოლიგიასთან მიმართებაში, შესაბამისად მათემატიკის მეთოდების გარეშე სტატისტიკა კომპლექსში განიხილება, რადგან იქ არის სტუდენტის კოეფიციენტი, სხვადასხვა პროგრამები და სწორად უნდა დადონ, რომ სხვაობა იყოს მისაღები;

დასაქმების სფეროებთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ ეს ყველაფერი გადაგზავნილი იყო, თუმცა იქ ეწერა, რომ „პროგრამის მიზანია მოამზადოს კვალიფიციური ფარმაციის ბაკალავრები, რომელთა ღირებულებები, ცოდნა და უნარები ქმნიან წინაპირობებს ფარმაცევტულ სექტორში პროფესიული საქმიანობისთვის, სამკურნალო ნივთიერებების თვისობრივი და რაოდენობრივი ანალიზის ჩასატარებლად, აფთიაქის ხელმძღვანელობისთვის (მისი თქმით, აქ იგულისხმება არაავტორიზებული აფთიაქი), ფარმაცევტული დაწესებულების მართვის სისტემების ეფექტურობის შესაფასებლად, წამლების აღრიცხვის, შენახვის, გაცემის წესების საფუძვლიანი ცოდნის შეძენა“. რაც შეეხება დასაქმების სფეროებს, ესენია: ფარმაცევტული სექტორი (აფთიაქები, ფარმაცევტული ბაზა), ფარმაცევტული პროფილის ისეთი დააწესებულება, როგორიცაა წამლების წარმოება, სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის ცენტრები და ქიმიური ექსპერტიზის ცენტრები. აღნიშნა, რომ მათ ჰყავთ ერთ-ერთი უნიკალური კურსდამთავრებული (ფარმაციის მაგისტრატურის), რომელიც წარმატებით მსახურობდა სამხედრო პოლიციაში (გოგონა) და სამშვიდობო მისიით იმყოფებოდა ავღანეთში, იქ რა მიმართულებით იყო ამის შესახებ უნივერსიტეტს დეტალურ ინფორმაციას არ აწვდის, თუმცა სამხედრო ოფიცერია და უნივერსიტეტი ამაყობს იმით, რომ ეს პატრიოტი გოგონა სამშვიდობო მისიით იმყოფებოდა და 7 წელი ემსახურებოდა საქართველოს, ანუ მათი შესაძლებლობები მხოლოდ ფარმაციით არ არის შეზღუდული, მათ შეუძლიათ კლინიკურ კონტექსტში მოსახლეობის მხარდაჭერა და ეპიდემიის/პანდემიის პირობებში ქმედითი ღონისძიებების გატარება. ასევე თითოეული მათი კურსდამთავრებული ბოლომდე დაიცავს სახელმწიფო პოლიტიკას ნარკოტიკულ და ფსიქოტროპულ პრეპარატებთან მიმართებაში, ანუ ასწავლიან, რომ ნარკომანია ეს არის დამღუპველი და ის რეფორმა, რომელიც გაატარა ჯანდაცვის სამინისტრომ არის შესაჩერებელი, რადგან ეს პროგრამა თუ არ შერჩება დაიკარგება ქართველი გოგო-ბიჭების 30%.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ნატო ალავიძემ დასაქმების სფეროებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ კვალიფიკაციის შესაბამისად დასაქმების სფეროები გამოსულია 244/ნ ბრძანებიდან, ეს არის სამედიცინო დაწესებულებაში დასაქმების უფლებისა და შესაბამისი განათლების მქონე სამედიცინო პერსონალის ნუსხის შესახებ დამტკიცებული ბრძანება, სადაც განსაზღვრულია სად შეიძლება იმუშავოს ფარმაციის ბაკალავრმა, ფარმაციის მაგისტრმა, ფარმაციის დოქტორანტმა და ა.შ.

საბჭოს წევრმა, გიორგი თუქიამ განაცხადა, რომ მისთვის გასაგებია, თუმცა რაც დაწესებულების წარმომადგენლებმა განაცხადეს იგივე მიზანი აქვს მაგისტრატურასაც, ფარმაცია ცოტა ფართო ცნებაა, იგივე ფარმაციის კომპანიები რასაც აკეთებენ, ეს არის უდიდესი კომპანიები და დიდი ფული გენერირიებს, თანამედროვე მეცნიერების მამოძრავებლები არიან, რადგან ეს არის იარაღი და თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარება, ფარმაცევტული ბიზნესის განვითარება, მედიკამენტების კვლევების და ა.შ. აღნიშნულ პროგრამაში საერთოდ არ არის საუბარი ფარმაცევტული კომპანიის სტრუქტურებზე, რასაც სპეციფიკური სტრუქტურა აქვს. დავუშვათ კვლევა, რომელშიც დიდი ფული იდება და ბევრი ადამიანი ფარმაციის ამ მიმართულებით შეიძლება მუშაობდეს, არის უკვე წამლის გამოსვლის შემდგომი კვლევები, ცხოველებზე, პაციენტებზე კვლევა და ა.შ., ხდება ამ პროდუქტების მარკეტინგი, საერთოდ ასეთ ჭრილში კომპლექსურად ამაზე საუბარი არ არის, მან ვერ ნახა, მიუხედავად იმისა რომ ითქვა 2-3 საგანის არსებობის შესახებ, რომლებიც რამდენიმე საკითხს ეხებოდა მხოლოდ. მან აღნიშნა, აფთიაქში რომ იმუშავოს ადამიანმა ძალიან კარგია, მაგრამ თუნდაც მისი ბავშვობის დროს აფთიაქში პროვიზორები მუშაობდნენ, ვინც წამლებს ამზადებდნენ, ფარმაცევტიკა ზოგადად გლობალური სფეროა და მეტ ცოდნას მოითხოვს, მაგ., პროექტების კვლევის მიმართულებით, საუბარი უნდა იყოს სტანდარტებზეც, როგორებიცაა GMP სტანდარტები, საწყობების სტანდარტები, მათ აქვთ საგანი „ფარმაცევტული საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები“, ეს უფრო ფართო სახელია და ექსპერტებმაც მიუთითეს რომ სახელი და შინაარსი თანხვედრაში არ არის, შინაარსი რეგულაციების დონეზეა, თუმცა არა სრული, შემდეგ იგივე რეგულაციებზეა საუბარი „სოციალურ ფარმაციაში“ და საერთოდ არ არის საუბარი ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა რეგისტრაცია და ა.შ., თუმცა, როდესაც ფარმაცევტულ კომპანიაში მოხვდება

კურსდამთავრებული შეიძლება წამლების რეგისტრაციაზე იმუშავოს, რაც ერთ-ერთი ურთულესი მიმართულებაა, შეიძლება კვლევების მიმართულებით იმუშავოს, რეალურად ამიტომ იკითხა სად უნდა იმუშავოს ადამიანმა, მისი მოსაზრებით, ამ პროგრამას ამ მხრივ სჭირდება გაძლიერება, რადგან ადამიანს ჰქონდეს წარმოდგენა, მაგ: „AtraZeneka“ კომპანია, როგორი სტრუქტურა აქვს, რომ მოხვდეს საქართველოს ოფისში იქნება თუ სხვა ოფისში, რა საქმიანობა მოუწევს, ან იქნება მარკეტინგში, ან სამართლებრივ ჩარჩოში რეგისტრაციაში, ან კვლევებთან კავშირში, უნივერსიტეტს აქვს 3 საგანი ტექნოლოგიებთან მიმართებით, მათ შორის „ფარმაცევტული ტექნოლოგიები“ - კაფსულის დამზადება, სითხეებზეც არის საუბარი, თუმცა რეალურად ეს არის ტექნოლოგიური პროცესი, ფარმაცევტი უნდა მუშაობდეს მოლეკულებზე, ბიოქიმიის კუთხით და ა.შ. თუ ისინი საუბრობენ ფარმაცევტული კომპანიის/აფთიაქის მართვაზე, მაგისთვის შესაბამის ცოდნას აღნიშნული პროგრამა ვერ აძლევს, რადგან ბიუჯეტირება სჭირდება ადამიანს, რომ მართოს პატარა ორგანიზაცია, პროექტების მართვა სჭირდება და ამ თვალსაზრისით ფარმაცევტიკა არის ერთ-ერთი ყველაზე დაფინანსებადი დარგი, ყველაზე დიდი მოცულობით ფული ტრიალებს და ფართო სპექტრია, იგივე მედიკამენტებზე საუბრისას, არის მედიკამენტი, რომელიც მილიონ ნახევარი დოლარი ან ევრო ღირს, ერთი ინექცია სჭირდება კუნთის დამბლის მკურნალობას და 2 წლამდეა საჭირო. დაწესებულების წარმომადგენლები კი ამბობენ რომ ბიზნესის კუთხით არ უნდა შეხედონ, თუმცა ნებისმიერი პროცესი ბიზნესია, უბრალოდ საუბარია ამ პროცესებს ვინ აფინანსებს, სახელმწიფო, კერძო სექტორი თუ მოსახლეობა, რეალურად ეს არის, თორემ მილიონ ნახევარზე ეთანხმება რომ ადამიანი ვერ გადაიხდის თავისის ჯიბიდან, ამისთვის სახელმწიფომ უნდა აიღოს ვალდებულება თავის თავზე და ამას უნდა ასწავლიდნენ, ასევე, დიდი, გლობალური კომპანიების სტრუქტურას, თუ ფარმაცევტიკაზეა საუბარი, ასევე დიდი ყურადღება უნდა მიექცეს კვლევებს, როგორ ხდება პარმაცევტული პროცესების კვლევა, რა ეტაპზეა საქართველო, როგორ არის ჩართული და ა.შ., ასევე, რეგულაციები უფრო ფართოა, ვიდრე ის რეგულაციები, რომლებიც ფარმაცევტული საქმიანობის სამართლებრივ საფუძვლებში უწერიათ, იგივე რუსეთში კანონია, რომ ვერცერთი უცხოური ფარმაცევტული კომპანია ვერ შეიტანს მედიკამენტს თუ რუსეთის ტერიტორიაზე არ აქვს ჩატარებული კვლევა. რეალურად ბევრი ნიუანსია. სტუდენტებს 5 საგანს ასწავლიან მცენარეების გამოყენებაზე მედიკამენტებში, რაც ძალიან კარგია, მაგრამ ეს ერთი სფეროა და ის მეორე, რადგან ფარმაცევტიკაზე ბაკალავრს უნდა ჰქონდეს კომპლექსური ხედვა.

პროგრამის ხელმძღვანელმა, მიხეილ სამსონიამ განაცხადა, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე ფარმაცევტს ეწოდებოდა პროვიზორი.

გიორგი თურქიამ უპასუხა, რომ ზუსტად ეგ თქვა, პროვიზორის დონეზე არ უნდა დარჩეს, ფარმაცევტიკა ცოტა სხვა რაღაცაა.

მიხეილ სამსონიამ აღნიშნა, რომ პროვიზორია ერთმანეთში აერთიანებს ექიმის, ბიოლოგისა და ქიმიკოსის თვისებებს, რაც შეეხება სხვაობას ფარმაციის მაგისტრატურასა და ფარმაციის ბაკალავრის კვალიფიკაციას შორის, ფარმაციის მაგისტრები პრაქტიკულად წარმოადგენენ სამეცნიერო პედაგოგიური დანიშნულების კადრებს, რომელთა ჩართვაც შესაძლებელია სასწავლო პროცესში. გარდა ამისა, მხოლოდ ფარმაციის მაგისტრებს აქვთ უფლება უხელმძღვანელონ ავტორიზებულ აფთიაქებს, ანუ აღრიცხვაზე აიყვანონ ფსიქოტროპული და ნარკოტიკული ნივთიერებები, ასევე განახორციელონ მათი გაცემა კანონმდებლობის შესაბამისად. რაც შეეხება ქართული ფარმაცევტული ბიზნესის ანატომიას, ცალსახაა, რომ რთული ვითარება კი არ არის ქართულ ფარმაცევტულ სექტორში, არამედ საერთოდ, არანაირი ვითარება არ არის და საბჭოს წევრმა სწორად განაცხადა, რომ არ ხორციელდება არანაირი ანალიზი, ეს საკმაოდ მტკივნეული სიმართლეა, საქართველოში სამკურნალო საშუალებების მიმოქცევის მარეგულირებელი ორგანოები პასუხისმგებლობას უნდა იღებდნენ იმაზე, რომ ყველა რეგისტრირებული მედიკამენტი შეამოწმონ შეესაბამება უსაფრთხოებისა და ეფექტურობის აღიარებულ სტანდარტებს თუ არა, მაგრამ არცერთ მედიკამენტს, რომელიც იმყოფება სააფთიაქო ქსელში, რომელიც რეგისტრირებულია და იყიდება არ უტარდება

სერიული, თვისობრივი და რაოდენობრივი ანალიზი, რაშიც ეთანხმება საბჭოს წევრს, რომ ნებისმიერ აფთიაქში შესვლისას და ხარისხის სერთიფიკატის მოთხოვნის შემთხვევაში, ვერ წარმოადგენენ, რადგან არ უტარდებათ თვისობრივი და რაოდენობრივი სერიული ანალიზი და ვერავინ იტყვის აკმაყოფილებს თუ არა მედიკამენტი მოთხოვნებს, შესაბამისად სამედიცინო სექტორი არის საკმაოდ მძიმე ვითარებაში, ექიმს უჭირს დიაგნოზის დასმა, ამიტომ აუცილებელია რეგულაციები. გარდა ამისა, 2014 წელს გამოცემულ იქნა რეფორმა, მოხდა მედიკამენტების სეგრეგაცია ჯგუფების მიხედვით და რეცეპტით გასაცემი მედიკამენტების ჯგუფში შეიყვანეს პრეპარატი, რომლის გაცემა არც რეცეპტის საფუძველზე, არც ურეცეპტოდ არ შეიძლება, ანუ თუ პაციენტი მიიღებდა ამ მედიკამენტს ის აუცილებლად მოკვდებოდა, რადგან შხამი ხვდებოდა მის ხელში, ეს შეცდომები ბოლომდე აღმოფხვრილი არ არის, ატროპინის თვალის წვეთების ურეცეპტოდ შეძენაა შესაძლებელი, სისტემური ხასიათის ხარვეზებია დაშვებული, რადგან არ გაუვლიათ ფარმაცევტებთან კონსულტაციია, ვინ შეადგინა და რა შეადგინა რთული სათქმელია, როდესაც რეფორმა ტარდება ფარმაციის მიმართულებით, მან შვება უნდა მოუტანოს მოსახლეობას, ასეთი რამ კი ამ რეფორმების შედეგად არ იგრძნობა, ეს არის გამოსასწორებელი. რაც შეეხება დასაქმების სფეროებს ავტორიზებული აფთიაქები, მათი ხელმძღვანელობა, სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები, ახალი მედიკამენტების კვლევა-ძიება, მან დასაწყისში აღნიშნა, რომ მათ შექმნეს სუბლინგუალური ფორმა, არის ასეთი ცილა-მოლეკულის დონეზე პი-გლიკოპროტეინი, რომელსაც უჯრედში გადასული წამალი გამოყავს უკან, შესაბამისად, როდესაც მუშაობდნენ პაკრიტაქსელის პერორალურ ფორმებზე ჰოლანდიელები, კორეელები იყენებდნენ ამ პი-გლიკოპროტეინს ტრანსმემბრანული ცილის ინჰიბიტორებს, მათ კი სულ სხვა გზა გამონახეს - დემსოტი შეჰყავთ სუბლინგუალურად და ამრიგად, ბიოშეღწევადობა გაცილებით მაღალია, რა თქმა უნდა ეს არის მოლეკულური ფარმაკოლოგია, მაგრამ კიდევ არის კლინიკური ფარმაკოლოგია, სადაც ასწავლიან სამკურნალო პრეპარატების მეშვეობით როგორ მართონ სასიცოცხლო მნიშვნელობის პროცესები, ყველა დაავადებას ვერ მოარჩენენ, მაგრამ მთავარი ამოცანაა იმოქმედონ პაციენტის სიცოცხლის ხარისხზე და ამას საკმაოდ საფუძვლიანად და დეტალურად ასწავლიან ფარმაციაზე, დაწვრილებით გადიან პრეპარატებს, რომლებმაც გადატრიალება მოახდინეს ონკოლოგიაში, რომლებსაც მასიურად იყენებენ და აქვთ ბრწყინვალე შედეგები. კითხვასთან დაკავშირებით კი აღნიშნა, ვერ დაეთანხმება საბჭოს წევრს, რომ მხოლოდ სამკურნალო მცენარეებს ასწავლიან. საბჭოს წევრებს შესთავაზა გაეცნონ ფარმაკოლოგიის, ფარმაკოთერაპიისა და კლინიკური ფარმაციის სილაბუსებს, იქ დაწვრილებითაა აღწერილი ქიმიური ნივთიერებები და ა.შ. მათი პოზიცია კი არის, რომ კურსის მიმდინარეობისას თავიდანვე ამბობენ, რომ არ ხსნიან ჰომეოპათიასა და საკვებ დანამატებს, ასევე ჯადოს მოხსნას და სიყვარულის დაბრუნებას არ ასწავლიან, ასწავლიან მხოლოდ იმას რაც არის კლასიკა, რასაც ასწავლიდნენ პეტერბურგში და ცდილობენ იგივე მეთოდები გამოიყენოს ცოდნის გადაცემის პროცესში.

საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ განმარტა, რომ მას არ უთქვამს თითქოს ცუდია ბუნებრივი ნივთიერებების გამოყენებაო, მან თქვა, რომ როგორც ამას ასწავლიან ფართოდ ისე უნდა ასწავლონ მართვის პროცესებიც, არ დავობს შინაარსზე.

დაწესებულების წარმომადგენლემა, ნატო ალავიძემ განაცხადა, რომ მას მიჰყავს ფარმაციის იურიდული საფუძვლების კურსი და ამ კურსის მიზანი და სწავლის შედეგები შეესაბამება ერთმანეთს, ცხადია მისაღებია, თუმცა გლობალურ კომპანიას სტრუქტურა ყველგან ერთნაირი არ აქვს, ერთი სტრუქტურა რომ ასწავლონ, შესაძლებელია კურსდამთავრებული სხვაგან წავიდეს და აბსლუტურად სხვა სტრუქტურა დახვდეს, ასევე აღნიშნა, რომ ასწავლიან GMP-ის სტანდარტებს.

საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ აღნიშნა, რომ ის რაც სისტემურია და საქართველოში პრობლემებია, ეს აღნიშნულ პროგრამას ნაკლებად უნდა ეხებოდეს, სხვაგან გასარჩევია და ექიმებმა კარგად იციან რა ნაკლოვანებები არსებობს ფარმაცევტულ ინდუსტრიაში, მაგ., ფარმაცევტულ კომპანიას ერთდროულად აქვს აფთიაქი, კლინიკა, ამბულატორიული დაწესებულება, თუმცა ეს ქუთაისის უნივერსიტეტის გასარჩევი ნამდვილად არ არის, აქ სხვა

რამეზეა საუბარი, გაიანე სიმონიასაც მოუხდა რამდენჯერმე კამათი, რომ წამალი, რომელიც ამოღებულია საქართველოში მაინც იყიდება და არაფრით იღებენ ქსელიდან. პროგრამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მას ბევრი რამ გაახსენდა, როდესაც დარგობრივზე მუშაობდნენ ერთად ისიც კი აქვთ გათვალისწინებული და ფიქრობს რომ ფარმაცევტის ერთ-ერთი მომენტი ისიც არის, რომ ის არ ჩაერიოს ექიმის ფუნქციებში და არ უთხრას რომ ერთი წამლის ნაცვლად მეორე დალიოს, თუმცა ეს ყველაფერი არ ეხება უნივერსიტეტს, იმ დაწესებულების მოთხოვნაა, სადაც შემდეგ იწყებენ მუშაობას.
საბჭოს თავმჯომარემ განაცხადა, რომ ყველაფერი გასაგებია და თუ არ არის დამატებითი კითხვები, შესაძლებელია დაიწყონ სამაგისტრო პროგრამის განხილვა.

მეორესაკითხისზეპირიმოსმენა
ექსპერტებისპოზიციისგანხილვა
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ლაშა ბაკურაძემ საბჭოს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის მიერ სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში შემუშავებული რეკომენდაციები:
- სასწავლო და მეთოდური ლიტერატურის განახლება;
- სასწავლო პრაქტიკის ხელშეწყობის მიზნით ხელშეკრულებების გაფორმება სხვადასხვა ტიპის ფარმაცევტული პრაქტიკის ბაზებთან (ანალიზური ლაბორატორიები, საწარმოები და სხვა);
- რეკომენდებულია სტუდენტთა სამეცნიერო/კვლევითი და პრაქტიკული სამუშაოების ჩატარებისათვის აუცილებელი მატერიალურ - ტექნიკური ბაზის სრულყოფა;
- რეკომენდებულია სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლითი ნაწილის შეტანა და ხარჯების დეტალიზაცია, ვინაიდან მათთვის წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ იყო შემოსავლითი ნაწილი და იყო მხოლოდ სტუდენტების რაოდენობა და საშუალო გადასახადი ღირებულების, აქედან გამომდინარე, დაითვალა ბიუჯეტი, თუმცა ადმინისტრაციასთან შეხვედრის დროს მკაფიოდ განმარტეს და დაარწმუნეს ექსპერტები, რომ უნივერსიტეტი მზად იყო ამ მიმართულებისთვის საჭიროებისა და დანაკლისის შემთხვევაში საჭირო რესურსებით უზრუნველსაყოფად, მიუხედავად ამისა, ეს არ იყო წარდგენილ დოკუმენტაციაში და ამიტომ მოხდა ამ რეკომენდაციის გაწერა;
- რეკომენდებულია შეფასების სისტემის ცვლილება და მრავალკომპონენტიანი შეფასების სისტემის დანერგვა;
- რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომების დარგის შესაბამისი თემატიკების შერჩევა, კვლევის მეთოდების გამრავალფეროვნება და ნაშრომის სტილის დაცვა, სამაგისტრო ნაშრომების შესწავლის დროს გამოვლინდა, რომ ზოგიერთი ნაშრომი აცდენილი იყო თემატიკით ან არ იყო დაცული ნაშრომის სტილისტიკა, შესაბამისად ესეც მოხვდა რეკომენდაციებში.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა გულისხმობდა თუ არა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე სტილისტიკაში აკადემიურ სტანდარტს.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დაადასტურა და განაცხადა, რომ იგულისხმებოდა დაწერის სტანდარტი და ნაშრომის თანმიმდევრობა.
საბჭოს წევრმა, გიორგი თურქიამ განაცხადა, რომ მათი თქმით აცდენილი იყო შინაარსთან და მას დააინტერესა რა თემებზე იყო საუბარი.
ლაშა ბაკურიძემ უპასუხა, რომ ზეპირად არ ახსოვს კონკრეტული თემები, თუმცა ნაწილი იყო გადახრილი სამკურნალო თემატიკებისკენ/სამედიცინო დარგისკენ, ვიდრე ფარმაცევტული დარგისაკენ.
ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ნატო ალავიძემ განაცხადა, რომ ნაშრომის თემატიკები მორგებულია სტუდენტთა ინტერესებზე, ამიტომ არის სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება და რაც მას აინტერესებს ცდილობენ რომ შეუწყონ ხელი და სამაგისტროს მეორე ხელმძღვანელი არის იმ დარგის სპეციალისტი რა

მიმართულებითაც აკეთებს სტუდენტი ნაშრომს. მას ჰქონდა შემთხვევა, როდესაც სტუდენტს ღვიძლის გადანერგვაზე ჰქონდა ნაშრომის დაწერის სურვილი, შესაბამისად ცხადია, რომ ფარმაცევტი ღვიძლის გადანერგვაზე ვერაფერს გააკეთებდა, თუმცა შემდგომი იმუნოდეპრესიულ-სუპრესორული მოქმედების განხილვა შეეძლოთ, ამიტომ ჩართეს ბათუმის რეფერალური საავადმყოფოს ღვიძლის გადანერგვის ჯგუფი და ერთ-ერთი მათი წარმომადგენელი ხელმძღვანელობდა აღნიშნულ ნაშრომს, რაც სტუდენტის სურვილი იყო და უნივერსიტეტს არ აქვს უფლება, რომ უთხრას შენ ამას ვერ გააკეთებ.
საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ამ სფეროში მას ნაკლები ცოდნა და გამოცდილება აქვს, მაგრამ მისთვის გაუგებარია, არის სამაგისტრო პროგრამა, რომელიც ემსახურება რაღაც მიზანს, რაღაც შედეგზე უნდა გავიდეს, შედეგი უნდა იყოს კონკრეტული და უნდა შეესაბამებოდეს ამა თუ იმ დარგობრივ მახასიათებელს, მაგ., თუ სტუდენტი სწავლობს კერძო სამართალს და მოუნდა ღვიძლის გადანერგვაზე დაწეროს რაღაც და ეს არის მისი სურვილი, ეს ვერ განხორციელდება. მისთვის გაუგებარია, ფარმაციასთან რა კავშირი აქვს ღვიძლის გადანერგვის შესახებ ნაშრომს, ხომ უნდა იყოს ეს კვლევა იმ პროგრამის ფარგლებში რომელმა პროგრამამაც კონკრეტულ მიზანზე უნდა გაიყვანოს სტუდენტი.
ნატო ალავიძემ განაცხადა, რომ ფარმაციაში დარგობრივი სტანდარტი არ აქვთ.
საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მას არ უგულისხმია დარგობრივი/რეგულირებადი სტანდარტი, დარგობრივი სტანდარტი მეტნაკლებად ყველგან არსებობს.
ნატო ალავიძემ აღნიშნა, რომ იმუნოსუპრესორული მკურნალობის ფარმაკოეკონომიკა შეესწავლა სტუდენტს. რაც შეეხება სტილისტიკას, 2020 წლის 15 ივლისს უნივერსიტეტში დამტკიცდა Chicago Style აკადემიურ სტილად, შესაბამისად ახლა უკვე სავალდებულოა გარკვეული სტილის დაცვა, ზემოაღნიშნული სამაგისტრო ნაშრომები როცა იქნა დაცული, მოქმედი სამაგისტრო ნაშრომის შესრულების წესს შეესაბამებოდა, ახლა უკვე აკადემიურ საბჭოში განხილვაზეა წარდგენილი ახალი ნაშრომის შესრულების წესი აკადემიურ სტილთან მიმართებაში, შესაბამისად სტილი იქნება დაცული.

საბჭოსთავმჯდომარემმიმართადაწესებულებისწარმომადგენლებსდაეფიქსირებინათმათიპოზიცია.
პროგრამის ხელმძღვანელმა, მიხეილ სამსონიამ განაცხადა, რომ სამაგისტრო პროგრამის არქიტექტონიკის გადახედვისას შესამჩნევია, რომ 60 კრედიტის ათვისების შემდეგ, სტუდენტი ირჩევს ფარმაციის ქვემიმართულებებიდან ერთ-ერთს, ქვემიმართულებებია: ფარმაკოლოგი - კლინიკური ფარმაცია, ფარმაცევტული ტექნოლოგია, ფარმაკოგნოზია, ტოქსიკოლოგიური ქიმია - სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა, სოციალური ფარმაცია - ფარმაცევტული ბიზნესის მენეჯმენტი და მარკეტინგი. მას შემდეგ, რაც სტუდენტი გაეცნობა ლექტორებს, იმ თბილ და საინტერესო გარემოს, რომელიც დახვდება უნივერსიტეტში, იგი აკეთებს არჩევანს, რაც შეეხება პროფილურ კვლევას, საკმაოდ დიდი დიაპაზონით გამოირჩევა მათთან ჩატარებული კვლევები, ეს შეიძლება იყოს კლინიკური კვლევა ან პროფილური ფარმაცევტული კვლევა ამის შესაძლებლობას აძლევთ ვივარიუმი. აღნიშნა, რომ ექსპერტებმა ნახეს ვირთაგვები და მათ ასევე ჰყავთ ბოცვრები და აკეთებენ საინტერესო ექსპერიმენტებს, მაგ., ცელოფნის მეშვეობით იწვევენ სიმსივნეს, შემდეგ შეყავთ ვირუსები, ამზადებენ აუტოვაქცინას და აუტოიმუნური თერაპიის მეშვეობით ხდება რეციდივის განმეორებით განვითარების აცილება, ამ პროცესში ჩართულები არიან სტუდენტები, ანუ ისინი უყურებენ ამ ყველაფერს, შესაბამისად აქვთ ბაზა, აქვთ ვივარიუმი და პროფესორი, ნინო აბულაძე ახორციელებს სოკოს საწინააღმდეგო მალამოების დამზადებას, მაკა ჯავახია მუშაობს კბილის პასტებზე, ნატო ალავიძე - სამკურნალო თიხებსა და მის ნაწარმზე კოსმეტიკური მიმართულებით ახორციელებს მალამოების ელემენტების დამზადებას და ა.შ., შესაბამისად საკამაოდ აქტიურად მიმდინარეობს ეს პროცესი.
მისი თქმით, ერთ-ერთი შენიშვნა მოიცავდა, რომ სტრუქტურულად არ არის ერთიანი და მისთვის გასაგებია, რომ არის ხარვეზები, მაგრამ, როდესაც ამას გამოაჩენენ, შეფასებაზეც აისახება და ამით ანიშნებენ ხელმძღვანელს, რომ საჭიროა ამის გამოსწორება.

ნატო ალავიძემ ლიტერატურასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ 2018 წლამდე მათ ჰქონდათ ინგლისურენოვანი ფარმაციის პროგრამა და შესაბამისი უახლესი/უცხოენოვანი ლიტერატურა აქვთ, მათი ფაკულტეტის სტრატეგიაა, რომ აკადემიურმა პერსონალმა გააკეთოს თარგმანები ე.წ. „ჰენდაუთები“ ამ ლიტერატურის გამოყენებით, რადგან თანამედროვე პირობების შესაბამისი, ახალი ქართულენოვანი ლიტერატურის სიმცირეა და ისედაც, როდესაც სილაბუსში ლიტერატურაა მითითებული რაღაც ახალი გამოდის კანონმდებლობაშიც იცვლება, შესაბამისად ახალი ინფორმაციები მათი პირადი მასალების სახით მიეწოდებათ სტუდენტებს კორპორაციულ მეილებზე.

პროგრამის ხელმძღვანელის, მიხეილ სამსონიას თქმით, 50-მდე ელექტრონული, სუპერ თანამედროვე სახელმძღვანელო გადასცეს მათი უნივერსიტეტის უნიკალურ ბიბლიოთეკას, რომელიც საუკეთესოა ამიერკავკასიაში და ყველა ლიტერატურა ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, რაც ძალიან მნიშნვნელოვანია.

საბჭოსთავმჯდომარემმიმართასაბჭოსწევრებსწარმოედგინათმოსაზრებები.

საბჭოს წევრის, თამარ ტუფინაშვილის თქმით, ექსპერტებს 2.3 ქვესტანდარტში უწერიათ, რომ უნივერსიტეტმა უნდა გაზარდოს არჩევითი საგნების სია და რეკომენდირებულია სასწავლო პრაქტიკის დამატება. მას დააინტერესა, რას ფიქრობენ უნივერისტეტის წარმომადგენლები ამ საკითხზე, აქვთ თუ არა პრაქტიკა ჩაშენებული სილაბუსებში ან გეგმავენ თუ არა ამ კომპონენტის დამატებას. ასევე, ბაკალავრის კვალიფიკაცია რომ არ აქვთ დაკონკრეტებული, ზოგადად რომელი კვალიფიკაციის ბაკალავრებს იღებენ და კვლევის მეთოდების შესწავლა რომელი სასწავლო კურსებით ხდება, რადგან ცალკე კვლევის მეთოდების შემსწავლელი კურსი პროგრამაში არ არის.

მიხეილ სამსონიამ განაცხადა, რომ ეს იყო ექსპერტების შენიშვნა, რომელიც გაითვალისწინეს და პროგრამაში ჩასვეს სასწავლო პრაქტიკა ფარმაცევტულ ტექნოლოგიაში, მემორანდუმები აქვთ გაფორმებული მსხვილ ფარმაცევტულ ობიექტებთან და სტუდენტებს შეეძლებათ პრაქტიკის გავლა, თუმცა კორონავირუსის გამო შეიქმნა გარკვეული სახის პრობლემები, ასევე ჩასმული აქვთ პრაქტიკული სასწავლო კურსი ფარმაცევტულ ქიმიაში, ეს არის მესამე სემესტრის ბოლოს გასავლელი პრაქტიკა. მათ შეკითხვას, რამდენად მომზადებულები ხვდებიან სტუდენტები, მეორე სემესტრში მათი ბაკალავრები გადიან საგანს „წამალთა ანალიზის ფიზიკურ ქიმიური მეთოდები“, სადაც საკვანძო საკთხებს ეკითხებიან, შემდეგ იწყება ფარმაცევტული ქიმიის 2 კურსი და ამის შემდეგ უკვე მომზადებულები გადიან სასწავლო პრაქტიკას, ადრე დაწესებულება თანამშრომლობდა ქეთევან ბარამიძის ლაბორატორიასთან, თუმცა ტექნიკური მიზეზების გამო ვეღარ შეძლეს თანამშრომლობის გაგრძელება, მედიცინის ფაკულტეტმა შეიცვალა ადგილმდებარეობა ადრე იყვნენ V კორპუსში და გადავიდნენ XI კორპუსში, მათ განკარგულებაშია 1 ჰა მიწის ნაკვეთი და ლაბორატორიები, რომელთა თანამედროვედ აღჭურვა მიმდინარეობს, წელს დაასრულეს ტოქსიკოლოგიური ქიმიის ლაბორატორია და შემდეგ ექნებათ სათანადო ამბიციებიც.

ნატო ალავიძემ განაცხადა, რომ კვალიფიკაცია არ აქვთ მითითებული, რადგან 2016 წელს იყო რეკომენდაცია რატომ ჰქონდათ მითითებული, ამასთანავე კანონში უმაღლესი განათლების შესახებ განსაზღვრავს, რომ მაგისტრატურა იძლევა სპეციალობის შეცვლის შესაძლებლობას.

საბჭოს წევრმა დააზუსტა, რომ მას არ უთქვამს და არც მისი გადასაწყვეტია ექნება თუ არა კვალიფიკაცია მითითებული, ის დაინტერესდა რომელი კვალიფიკაციის ბაკალავრებს იღებენ, რადგან ფარმაციას ყველა ვერ ისწავლის.

ნატო ალავიძემ უპასუხა, რომ აპლიკანტი ვალდებულია ჩააბაროს ყველა ძირითადი კურსის კომბინირებული გამოცდა, თუ შესაბამისი უნარები არ აქვს ვერ გადალახავს საგამოცდო ზღვარს, მიხეილ სამსონიამ დაამატა, რომ სტატისტიკის თანახმად 95% არის ფარმაციის ბაკალავრი, სხვა ვერც აბარებს აღნიშნულ გამოცდებს, რადგან საკმაოდ რთული გამოცდებია და მაღალი ბარიერი აქვთ. ბარიერი აწიეს საბაკალავრო პროგრამაზეც და საერთოდ აქცენტი კეთდება ხარისხზე და არა რაოდენობაზე. ჩარიცხული სტუდენტების მხოლოდ 30% იღებს ფარმაციის ბაკალავრის

კვალიფიკაციას, დაახლოებით 70%-ს კარგავენ სასწავლო პროცესში, რადგან საკმაოდ მკაცრი სასწავლო პროცესია და ცდილობენ ეს სიმკაცრე არ გადაიზარდოს სისასტიკეში.
საბჭოს წევრმა, ნიკოლოზ კიკნაძემ განაცხადა, რომ კვალიფიკაციასთან დაკავშირებით რაც იყო ბაკალავრთან მაგისტრატურასთანაც თითქმის იგივე პრობლემაა, ასევე აქ არის 2 კურსი სოციალური ფარმაცია, ფარმა-ეკონომიკა და ფარმაცევტული ბიზნესის მენეჯმენტი და მარკეტინგი, ისინი არცერთი შეესაბამება სწავლის დონეს; კურსის შინაარსის გათვალისწინებით, ლიტერატურა აქაც გასაახლებელია.
საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ყველაფერი გასაგებია და თუ არ არის დამატებითი კითხვები შესაძლებელია დაიწყონ სადოქტორო პროგრამის განხილვა.

მესამესაკითხისზეპირიმოსმენა
ექსპერტებისპოზიციისგანხილვა

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ლაშა ბაკურაძემ საბჭოს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის მიერ სადოქტორო პროგრამის ფარგლებში შემუშავებული რეკომენდაციები:
• რეკომენდებულია სტუდენტთა სამეცნიერო/კვლევითი და პრაქტიკული სამუშაოების ჩატარებისათვის აუცილებელი მატერიალურ - ტექნიკური ბაზის სრულყოფა;
• რეკომენდებულია პროგრამას დაემატოს ახალი დისციპლინები პროგრამის მეტი მრავალფეროვნების მიზნით;
• სასურველია განახლდეს სასწავლო ლიტურატურის ნუსხა და გამოცემის პერიოდულობა, ბიბლიოთეკის დათვალიერების დროს აღმოჩნდა, რომ იქ ნამდვილად არის ახალი/თანამედროვე ლიტერატურა, ნამდვილად არის სრულფასოვნად და სრულად აღჭურვილი, თუმცა შეიძლება ტექნიკური ხარვეზი ან გამორჩენა იყოს, ზოგიერთ სილაბუსში კვლავ ძველი ლიტერატურაა მითითებული და სწორედ ამიტომ ჩაინიშნა აღნიშნული რეკომენდაცია, რომ განხორციელდეს ცვლილება;
• რეკომენდებულია სადოქტორო პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლითი ნაწილის შეტანა და ხარჯების დეტალიზაცია;
• რეკომენდებულია შეფასების სისტემის ცვლილება და მრავალკომპონენტიანი შეფასების სისტემის დანერგვა;
• რეკომენდებულია პროგრამის სტრუქტურა მოვიდეს შესაბამისობაში უმაღლესი განათლების შესახებ კანონის 46-ე მუხლის მე-2 პუნქტის გ - ქვეპუნქტთან.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს განემარტა ბოლო რეკომენდაცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის თქმით ეს ნიშნავს, რომ 2018 წელს კანონში შეტანილი ცვლილების შედეგად სადოქტორო პროგრამა 60 კრედიტიანია და უნდა გრძელდებოდეს არა უმეტეს 3 წლისა, პროგრამაში კი ეწერა 180 კრედიტი და იყო შესაბამისობაში მოსაყვანი.
საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ეს ხშირად არის პრობლემის სახით სადოქტორო პროგრამაში წარმოდგენილი.

საბჭოსთავმჯდომარემმიმართადაწესებულებისწარმომადგენლებსდაეფიქსირებინათმათიპოზიცია.
ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, ნატო ალავიძემ განმარტა, რომ სადოქტორო პროგრამა, რომელიც განიხილება 2016 წელს, მიიღო აკრედიტაცია 5 წლის ვადით, თუმცა 2018 წელს უნივერსიტეტის რეავტორიზაციის დროს თვითშეფასების გაკეთებისას გააკეთეს მკაცრი აღრიცხვა/მონიტორინგი სადოქტოროზე და თვითონვე გადაწყვიტეს, რომ არ შეესაბამება განახლებულ ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტებს და დახურეს არა მარტო ფარმაცია, არამედ 75 საადოქტორო პროგრამა. მაშინ ძირითადი მიზეზი იყო ინტერნაციონალიზაციის ნაკლებობა და ამ ეტაპზე გააძლიერეს ამ მიმართულებით. რაც

შეეხება კრედიტების ჩანაწერს, ჩაბარების მომენტში იყო ჩარჩენილი, თუმცა ამ ეტაპზე გასწორებულია, აკადემიურ საბჭოზე განახლებული ვერსია უკვე დამტკიცებულია და შესაბამისობაშია მოყვანილი.
ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა, თეა კორძაძემ განაცხადა, რომ საკმაოდ ადრე ჩაბარდა აღნიშნული პროგრამა ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს და 120 კრედიტი კვლევითი კომპონენტი იყო ტექნიკური ხარვეზი და უკვე აღმოფხვრილია, შესაბამისად რეკომენდაცია გაზიარებულია. პროგრამის სტრუქტურაში სასწავლო კომპონენტი განსაზღვრულია 60 კრედიტით, აქედან ძირითადი სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 50 კრედიტი, ძირითადი სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - 10 კრედიტი.

საბჭოსთავმჯდომარემმიმართასაბჭოსწევრებსწარმოედგინათმოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, ნიკა თიკანაშვილმა განაცხადა, რომ 2016-2017 წლის თვითშეფასების ანგარიშში მათ დოქტორანტები მიღებული ჰყავთ, მისთვის ცნობილია, რადგან სადოქტორო პროგრამის შემოწმების ერთ-ერთი კომისიის წევრი თვითონ იყო, მას დააინტერესა რა მდგომარეობა აქვთ აღნიშნულ დოქტორანტებს ამჟამად.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ნატო ალავიძემ უპასუხა, რომ ამ ეტაპზე სტატუსი აქვთ შეჩერებული.
საბჭოს წევრმა იკითხა, კვლევის რა ეტაპზე არიან ისინი და ფიქრობენ თუ არა სტუდენტის სტატუსის აღდგენას პროგრამის აკრედიტაციის შემთხვევაში.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ნატო ალავიძემ უპასუხა, რომ ცხადია გეგმავენ სტატუსის აღდგენას, მათ შესთავაზეს მობილობა და სთხოვეს მემორანდუმის საფუძველზე თსსუ-ში გადასულიყვნენ, თუმცა მათ არ ისურვეს, რადგან ისინი ძირითადად დაოჯახებული გოგონები არიან და არ ისურვეს ქალაქის დატოვება, ამიტომ ელოდებიან აკრედიტაციას, შესაბამისად მოხდება განახლებულ პროგრამაზე გადაყვანა, კრედიტების აღიარება და ჩვეულებრივად განაგრძობენ სწავლას, კვლევა არ შეუჩერებიათ და აგრძელებენ.
საბჭოს წევრმა იკითხა, სად მდებარეობს უშუალოდ კვლევის განხორციელების ბაზა, მემორანდუმის ფარგლებში ტარდება სხვადასხვა ობიექტებზე თუ უნივერსიტეტს აქვს სხვადასხვა რესურსები.
ნატო ალავიძემ განაცხადა, რომ უნივერსიტეტს აქვს გაარკვეული რესურსები, თუმცა ძირითადად აქვთ მემორანდუმი თსსუ-სთან, რომლის „ქუდის ქვეშაც“ ფარმაკო-ქიმიის სამეცნიერო კლევითი ინსტიტუტი და ბიოქიმიის კვლევითი ინსტიტუტებია მოქცეული, თუმცა ხელშეკრულებები აქვთ ხარკოვის ნაციონალურ ფარმაცევტულ ინსტიტუტთან, სადაც შეუძლიათ მიავლინონ დოქტორანტი.
სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელმა, ნინო აბულაძემ განაცხადა, რომ გარდა იმისა, რა ხელშეკრულებები და მემორანდუმებიც უკვე აღინიშნა, ადგილზეც აქვთ რესურსები, რომლებიც თანდათანობით იზრდება, ამას ემატება დაავადებათა კონტროლისა და სახელმწიფო ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ლაბორატორიის რესურსი, ეს არის დაწესებულება რომელთანაც აქვთ მემორანდუმი და საჭიროების შემთხვევაში აფორმებენ ხელშეკრულებას და გარკვეული ნაწილი მიკრობიოლოგიური და სხვა კვლევები ტარდება იქ. ძირითადი ნაწილი კი - ტარდება უშუალოდ დაწესებულების ლაბორატორიაში და ზოგიერთ ფარმაკ-ქიმიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში. თუ საჭიროება მოითხოვს მათ აქვთ კვლევის დიზაინის განმსაზღვრავი, მოგებული აქვთ რუსთაველის სამეცნიერო ფონდის ორი გრანტი და იქ გრანტის შიგნით ჰქონდათ კვლევები და იციან როგორ მოხდება მომდევნო დოქტორანტების შემთხვევაში, რომელ დაწესებულებებში მიავლენენ და ა.შ. თუ მიეცემათ ამის შესაძლებლობა.
ნიკა თიკანაშვილმა აღნიშნა, რომ წინაზე 3 დოქტორანტი ჰყავდათ, იგეგმება თუ არა კონტინგენტის გაზრდა ამჯერად.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო აბულაძემ უპასუხა, რომ ამჟამად 4 დოქტორანტი ჰყავთ, სამომავლოდ კი ბიუჯეტის მიხედვით 5 დოქტორანტის მიღებას გეგმავენ.

საბჭოს წევრმა, თამარ ტუფინაშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამაში ჩაწერილი 120 კრედიტი და 60 ეს ტექნიკური ხარვეზია, ძველი ფორმაა ჯერ კიდევ გადმოყოლილი და უამრავ სადოქტორო პროგრამაშია გაპარული ეს შეცდომა და ამას უყურებს, როგორც ტექნიკურ ხარვეზს, მაგის გასწორებას, რომ არ მიეთითოს კვლევის კომპონენტის კრედიტი და მხოლოდ სადოქტორო პროგრამა ეს არის 60 კრედიტი და 3 წელი გრძელდება ამას დიდი ცოდნა არ სჭირდება. მან მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს და სთხოვა განემარტათ, თვითონ სასწავლო გეგმასა და კურიკულუმის რუკაში ისევ არის კვლევითი კომპონენტი ჩაშლილი, ისეც ჩანს სტუდენტის I, II, III კოლოქვიუმი, პუბლიკაციები, კონფერენციებში მონაწილეობა, მართალია მათ სათითაოდ არ აქვთ მინიჭებული კრედიტი, მაგრამ ეს კვლევითი კომპონენტი არის მაინც ჩაშლილი, კურიკულუმის რუკაზე თითოეული ეს კომპონენტი გადის კონკრეტულ შედეგზე და გავლენას ახდენს ამ შედეგის გაღრმავებაზე, ან განმტკიცებაზე, მას უნდოდა მოესმინა რა შეცვალა დაწესებულებამ.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ნატო ალავიძემ უპასუხა, რომ კრედიტები ცალკე მინიჭებული არ არის, იმისთვის რომ დოქტორანტი ნაშრომის დაცვაზე წარდგეს, მან უნდა მიიტანოს დოქტორანტურის სამსახურიდან ოქმი, სადაც გაფორმებული იქნება, რომ მან შეასრულა ყველა პირობა, კოლოკვიუმები დაცული უნდა ჰქონდეს და სტატიები გამოქვეყნებული, ამის შემდეგ ის შესაძლებელია დაიშვას დაცვაზე რეცენზენტის გადაწყვეტილების შემდეგ, ანუ ყველა აფასებს, არ აქვს კრედიტი თუმცა სავალდებულოა.
საბჭოს წევრმა, ნოკოლოზ კიკნაძემ ექსპერტებს მიმართა, თუ ნახეს ან მოითხოვეს შესრულებული კოლოკვიუმები რა თემატიკაზე იყო და თუ იყო იგივე პრობლემა და ხარვეზები, რაც სამაგისტროს შემთხვევაში იყო.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ლაშა ბაკურაძემ განაცხადა, რომ ექსპერტებმა მოითხოვეს და გაეცნენ თემატიკებს და ისინი სრულად შეესაბამება ფარმაცევტულ თემატიკას, შესაბამისად ამ შემთხვევაში არ ყოფილა გადაცდომები, თუმცა სიღრმისეულად შესწავლა ვერ მოახერხეს, რადგან I და II კურსის შეჩერებული სტატუსის მქონე სტუდენტებს შეხვდნენ.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ნატო ალავიძემ განაცხადა, რომ კოლოკვიუმები სადოქტორო თემის ნაწილია და შესაბამისად ვერ იქნება აცდენა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:28
დასრულების დრო: 18:15
აკრედიტაციისსაბჭოსმიერსაგანმანათლებლოპროგრამისშეფასებადაკენჭისყრა

1. საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

- **საბჭოსმიერსაგანმანათლებლოპროგრამისშეფასებადაკენჭისყრა**

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

ფარმაციის როგორც საბაკალავრო, ასევე სამაგისტრო პროგრამების აკრედიტაციის საკითხის განხილვისას, საბჭოს წევრების - გიორგი თურქიასა და ნიკოლოზ კიკნაძის მიერ ყურადღება გამახვილდა პროგრამების შინაარსის სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაზე.

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაცი(ებ)ი და ჩამოაყალიბაშემდეგირედაქტირებით:

- რეკომენდებულია შეფასების სისტემის შეცვლა და მრავალკომპონენტიანი შეფასების სისტემის დანერგვა, აგრეთვე გამოყენებულ ქულათა ზღვრების გაზრდა;
- რეკომენდებულია სილაბუსებში ახალი სასწავლო ლიტერატურის მითითება/გამოყენება;
- სტუდენტების კონფერენციებში და პრაქტიკულ სამუშაოებში ჩართულობის გაზრდა;
- რეკომენდებულია საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლითი ნაწილის შეტანა და ხარჯების დეტალიზაცია.
- პროგრამამ თავისი კომპონენტებით უზრუნველყოს სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამის დეტალურ სფეროსთვის დადგენილი პირობების შესრულება;

გადაწყვეტილება

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3^1 პუნქტე ბის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით 1 წელიწადში ანგარიშის წარმოდგენით.

2. საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 1 წლის ვადით პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 2

სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში, საბჭოს მიერ I სტანდარტი ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, ხოლო II სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა „ნაწილობრივ შესაბამისობაში მოთხოვნებთან“.

საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტების რეკომენდაციები და ჩამოაყალიბა შემდეგი რედაქტირებით:
სასწავლო და მეთოდური ლიტერატურის განახლება;

- სასწავლო პრაქტიკის ხელშეწყობის მიზნით ხელშეკრულებების გაფორმება სხვადასხვა ტიპის ფარმაცევტული პრაქტიკის ბაზებთან (ანალიზური ლაბორატორიები, საწარმოები და სხვა);
- რეკომენდებულია სტუდენტთა სამეცნიერო/კვლევითი და პრაქტიკული სამუშაოების ჩატარებისათვის აუცილებელი მატერიალურ - ტექნიკური ბაზის სრულყოფა;
- რეკომენდებულია სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლითი ნაწილის შეტანა და ხარჯების დეტალიზაცია, ვინაიდან მათთვის წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ იყო

შემოსავლითი ნაწილი და იყო მხოლოდ სტუდენტების რაოდენობა და საშუალო გადასახადი ღირებულების, აქედან გამომდინარე, დაითვალა ბიუჯეტი, თუმცა ადმინისტრაციასთან შეხვედრის დროს მკაფიოდ განმარტეს და დაარწმუნეს ექსპერტები, რომ უნივერსიტეტი მზად იყო ამ მიმართულებისთვის საჭიროებისა და დანაკლისის შემთხვევაში საჭირო რესურსებით უზრუნველსაყოფად, მიუხედავად ამისა, ეს არ იყო წარდგენილ დოკუმენტაციაში და ამიტომ მოხდა ამ რეკომენდაციის გაწერა;
- რეკომენდებულია შეფასების სისტემის ცვლილება და მრავალკომპონენტიანი შეფასების სისტემის დანერგვა;
- რეკომენდებულია სამაგისტრო ნაშრომების დარგის შესაბამისი თემატიკების შერჩევა, კვლევის მეთოდების გამრავალფეროვნება და ნაშრომის სტილის დაცვა, სამაგისტრო ნაშრომების შესწავლის დროს გამოვლინდა, რომ ზოგიერთი ნაშრომი აცდენილი იყო თემატიკით ან არ იყო დაცული ნაშრომის სტილისტიკა, შესაბამისად ესეც მოხვდა რეკომენდაციებში;
- პროგრამამ თავისი შინაარსით უზრუნველყოს პროგრამის მიზნების და დაგეგმილი შედეგების მიღწევადობა;
- პროგრამამ თავისი კომპონენტებით უზრუნველყოს სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამის დეტალურ სფეროსთვის დადგენილი პირობების შესრულება

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^2 პუნქტი, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის და 3^2 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუ ხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია 1 წლის ვადით.

3. სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის 2 წლის ვადით პირობითი აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში არსებული შეფასება და II სტანდარტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შესაბამისობაში მოთხოვნებთან“.

საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტების რეკომენდაციები და ჩამოაყალიბა შემდეგი რედაქტირებით:

- რეკომენდებულია სტუდენტთა სამეცნიერო/კვლევითი და პრაქტიკული სამუშაოების ჩატარებისათვის აუცილებელი მატერიალურ - ტექნიკური ბაზის სრულყოფა;
- რეკომენდებულია პროგრამას დაემატოს ახალი დისციპლინები პროგრამის მეტი მრავალფეროვნების მიზნით;
- სასურველია განახლდეს სასწავლო ლიტურატურის ნუსხა და გამოცემის პერიოდულობა, ბიბლიოთეკის დათვალიერების დროს აღმოჩნდა, რომ იქ ნამდვილად არის ახალი/თანამედროვე ლიტერატურა, ნამდვილად არის სრულფასოვნად და სრულად აღჭურვილი, თუმცა შეიძლება ტექნიკური ხარვეზი ან გამორჩენა იყოს, ზოგიერთ სილაბუსში კვლავ ძველი ლიტერატურაა მითითებული და სწორედ ამიტომ ჩაინიშნა აღნიშნული რეკომენდაცია, რომ განხორციელდეს ცვლილება;
- რეკომენდებულია სადოქტორო პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლითი ნაწილის შეტანა და ხარჯების დეტალიზაცია;
- რეკომენდებულია შეფასების სისტემის ცვლილება და მრავალკომპონენტიანი შეფასების სისტემის დანერგვა;
- რეკომენდებულია პროგრამის სტრუქტურა მოვიდეს შესაბამისობაში უმაღლესი განათლების შესახებ კანონის 46-ე მუხლის მე-2 პუნქტის გ - ქვეპუნქტთან.
- დაკორექტირდეს კურიკულუმის რუკა და არ მოხდეს კვლევით კომპონენტში მითითებული ელემენტების (კვლევის შედეგების პუბლიკაცია და კონფერენციებში მონაწილეობა, სტუდენტის I კოლოქვიუმი, სტუდენტის II კოლოქვიუმი, სტუდენტის III კოლოქვიუმი) შედეგების ასახვა. აღნიშნული მიუთითებს, რომ შედეგის დადასტურება ხდება ამ ელემენტების შეფასებით. რაც არ არის შესაბამისობაში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N 3 ბრძანებასთან.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^2 პუნქტი, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის და 3^2 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუ ხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია 2 წლის ვადით.

4. მეოთხე საკითხი: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბუნებრივ ნაერთთა ანალიზის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბუნებრივ ნაერთთა ანალიზი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	--
3	სტატუსი	ახალი
4		---

	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	---
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	კვალიფიკაციის დასახელება	ქიმიის დოქტორი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	---
9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	180
11	განხორციელების ადგილი	6010, საქართველო, ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის 1 35/32, უნივერსიტეტის II კოროპუსი, მესამე სართული
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	---

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
ü არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
ü არა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, რევაზ კორაშვილმა განაცხადა, რომ სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვიზიტით იყვნენ 3 ექსპერტი, რევაზ კორაშვილი, ინგა ლომაძე და ანი ბილანიშვილი. აღნიშნული პროგრამა შეიქმნა 2013 წელს, 2018 წელს ჰქონდა აკრედიტაცია, სადაც მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია, ვადის გადაცილების გამო პროგრამა იყო შეჩერებული და შემდგომ განახორციელეს ვიზიტი. მან აღნიშნა, რომ 2018 წელსაც იყვნენ აკრედიტაციაზე ანი ბილანიშვილთან ერთად და მაშინდელი შემოწმებისა და ყველაფრის შესახებ ჰქონდათ ინფორმაცია. მაშინ საკმაოდ ბევრი რეკომენდაცია იყო გაწერილი და ყველაფერი, რაც მნიშვნელოვანი იყო გათვალისწინებულია ამჟამინდელ პროგრამაში. ზოგადად, პროგრამამ განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილებები, პოზიტიური მიმართულებით და ახლანდელი შემოწმების შედეგად გაიწერა 2 რეკომენდაცია:

- უმაღლესი განათლების შესახებ კანონში შევიდა ცვლილება სამეცნიერო კომპონენტის კრედიტებით შეფასების შესახებ, პროგრამაში ძველი ვერსიის სახით იყო 180 კრედიტი, სადაც 120 იყო კვლევითი კომპონენტი, ხოლო 60 იყო სასწავლო კომპონენტი, გაიცა რეკომენდაცია, რომ პროგრამა მოვიდეს შესაბამისობაში უმაღლესი განათლების შესახებ კანონთან, რაც ნიშნავს, რომ კვლევითი კომპონენტი აღარ უნდა შეფასდეს კრედიტებით;
- სასწავლო კურსების „სოციალური ფსიქოლოგია დოქტორანტებისთვის“, „აკადემიური წერა“ და „სწავლების თანამედროვე მეთოდები“ სილაბუსებში გასწორდეს შეფასების სქემაში ხარვეზები, კერძოდ: სასწავლო კურსის „სოციალური ფსიქოლოგია დოქტორანტებისთვის“ შეფასების კრიტერიუმებს არ აქვს ქულების მახასიათებლები (შეფასების სკალა); სასწავლო კურსის „სწავლების თანამედროვე მეთოდები“ შუალედური გამოცდის კრიტერიუმები და შეფასების სკალა არ არის ასახული სილაბუსში, დასკვნითი გამოცდის კრიტერიუმებს არ აქვს ქულების მახასიათებლები; სასწავლო კურსს „აკადემიური წერა“ შეფასების სქემაში დასკვნითი გამოცდის შეფასების რუბრიკებში არ აქვს ქულების მახასიათებლები, ხოლო სადაც არის მითითებული მაქსიმალური ქულა (მაგ. 3 ქულა) შეფასების სქემაში უნდა იყოს განსაზღვრული დონეების ქულების მახასიათებლები. გარდა ამისა, ამავე სილაბუსში გაწერილია შუალედური გამოცდის შეფასების კრიტერიუმები, მაგრამ გამორჩენილია შეფასების მეთოდის მითითება.

გარდა ამისა, ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა 6 რჩევა; საუკეთესო პრაქტიკის მიმოხილვაში ჰქონდათ 6 პუნქტი, ასევე გომოყოფილ იქნა საკითხები, რომლებიც გაუმჯობესდა ბოლო ვიზიტის შემდეგ, საკმაოდ მნიშვნელოვანი გაუჯობესებები იყო ყველა მიმართულებით, 2 წლის წინ მნიშვნდელოვანი ხარვეზები/პრობლემები ჰქონდა პროგრამას, მაგ., არ ჰქონდათ ახალი სტატიები პროგრამაში მონაწილე პერსონალს და ეს გამოსწორებულია. ასევე დაიმატეს თანამშრომელი, რომელიც არის უცხოეთში მოღვაწე ქართველი მეცნიერი, რამაც საკმაოდ პოზიტიური გავლენა მოახდინა პროგრამაზე; გამოაქვეყენს ახალი სტატიები, უცხოეთთან თანამშრომლობის მხრივ არის მნიშვნელოვანი მიღწევები და ეს ყველაფერი აღნიშნულია ცვლილებებში. თვითონ ორგანიზაცია დაეთანხმა ექსპერტებს რეკომენდაციებში და საპასუხო წერილი გაგზავნისას, შეცვლილი დოკუმენტებიც გააგზავნა, რომლებიც მათ არ უნდა შეეფასებინათ, რადგან გაგზავნილია მას შემდეგ, რაც მოხდა აკრედიტაცია, თუმცა მაინც წაიკითხეს და შეუძილიათ საბჭოს თავისი აზრი მოახსენონ.
საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს დასკვნის ამომწურავად წარდგენისთვის, აღნიშნა, რომ ყველაფერი გასაგებია, რადგან საბჭოს წევრების უმეტეს ნაწილს ახსოვს აღნიშნული პროგრამა 2018 წლიდან. ასევე, კარგია რომ გამოსწორდა პროგრამა, ნამდვილად დადებითად შესაფასებელია, რეკომენდაციები ისეთი არაფერი არის, უფრო სწორად პირველი რეკომენდაცია უფრო ტექნიკური ხასიათის/ადვილად გამოსასწორებელი შეიძლება იყოს. მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტისა და ექსპერტების ჩართვამდე მსჯელობდნენ მეორე რეკომენდაციაზე, რადგან, როდესაც იურისტები ამბობენ, რომ მოვიდეს კანონთან შესაბამისობაში, ნიშნავს რომ ის რაღაც შეუსაბამოა კანონთან, ის რომ გამოსწორებული შეიძლება ჰქონდეს უნივერსიტეტს გასაგებია და შემდეგ გადაგზავნილი, მაგრამ ამაზე აპელირებას ვერ გააკეთებენ, ისინი უნდა დაეყრდნონ იმ დოკუმენტებს, რომლებიც ვადაში არის წარდგენილი და რომელზე დაყრდნობითაც უნდა მიიღონ გადაწყვეტილება, ამიტომ სთხოვა კიდევ ერთხელ განმარტონ მეორე რეკომენდაცია, რადგან ყველაზე მნიშვნელოვანი აღნიშნულ პროგრამაში მეორე რეკომენდაციაა, რას გულისხმობს „მოვიდეს შესაბამისობაში“, როგორ ჰქონდათ ეს წარმოადგენილი პროგრამის განამხორციელებლებს.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროგრამაში პირდაპირ ეწერა, რომ პროგრამა არის 180 კრედიტიანი, საიდანაც 120 კრედიტი არის სამეცნიერო კვლევითი კომპონენტი, ხოლო დანარჩენი 60 კრედიტი სასწავლო კომპონენტი. აღნიშნა რომ თვითონ იურისტი არ არის, პროფესიით ქიმიკოსია და საკმაო დრო დასჭირდა კანონმდებლობაში გასარკვევად; რაში ეწინააღმდეგებოდა ეს ფორმულირება კანონს და იურისტების დახმარებით მისთვის გასაგები გახდა რაშია დარღვევა, რომ კანონმდებლობა არ ითვალისწინებს საერთოდ დოქტორანტურის

კრედიტებს კვლევითი კომპონენტისთვის, რაც კანონმდებლობაში არ წერია ის არ შეიძლება უნივერსიტეტმა მიანიჭოს, რადგან ეს არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი და რაც კანონმდებლობით დაშვებული არ არის - აკრძალულია, ასე განუმარტეს მას იურიდიულად და ამიტომ ხდება ასეთი აცდენა კანონთან.
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, დიმიტრი გეგენავამ განმარტა, რომ ასე მარტივად არ არის საქმე, რომ რაც კანონმდებლობით არ არის ნებადართული - ყველაფერი აკრძალულია, ეს საჯარო სამართალში ასევე მოქმედებს, მაგრამ არის მეორე პრინციპი, რაც პირდაპირ აკრძალულია იმის დარღვევა არ შეიძლება, არსებობს ლეგალურობის პრინციპი, რომლითაც იბოჭება ყველა ადამიანი, თუმცა აქ სხვა რაღაცასთან არის საქმე, ერთია რომ მინისტრის ბრძანება არ ითვალისწინებს სადოქტორო პროგრამებისთვის კრედიტების მინიჭებას და მეორეა, რომ პირდაპირ კრძალავს, ფრაგმენტულად, ერთი და იგივე კომპონენტის რამდენჯერმე შეფასებას. კერძოდ, კოლოკვიუმების გამოტანას ცალკე, მათთვის ფრაგმენტულად კრედიტების გამოტანას და შემდეგ ჯამურად დისერტაციის დაცვას, ანუ არ ითვალისწინებს დისერტაციისთვის კრედიტებს და ამასთანავე კრძალავს დისერტაციის ეტაპობრივად დაცვასა და ჩაშლას, ანუ არის ორი სხვადასხვა პრინციპია და ეს გაცილებით უფრო სერიოზული პრინციპია, შეიძლება არ ეწეროს და მინდობილი იყო უნივერსიტეტზე თავად განსაზღვროს კრედიტების რაოდენობა, მაგრამ ამ შემთხვევაში აბსოლუტურად სხვა მდგომარეობაა, განსაზღვრულია კრედიტები და დანაწევრებულია ერთი სადოქტორო, ფაქტობრივად, ხდება ერთი და იგივე საქმიანობის/ნაშრომის რამდენჯერმე შეფასება, ფრაგმენტულად და ამით ხდება ერთიანი მიზნებისა და შედეგების მიღწევის დანაწევრება, რაც პირდაპირ შეუსაბამობაშია კანონმდებლობასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ არ ეხება ეს მხოლოდ სსიპ-ს, ბევრი უნივერსიტეტი, მით უფრო კერძო უნივერსიტეტი კერძო სამართლის იურიდიულ პირად არის. დიმიტრი გეგენავა დაეთანხმა და აღნიშნა რომ ეს ყველა უნივერსიტეტზე ვრცელდება.
საბჭოს თავჯდომარემ გამოთქვა მოსაზრება, რომ დაწესებულება ეთანხმება პირველ რეკომენდაციას, შესაბამისად ექნებათ გასწორებულიც. მან აღნიშნა, რომ მეორე რეკომენდაციაა გადამწყვეტი.
ექსპერტმა, ინგა ლომაძემ განაცხადა, რომ უნივერსიტეტის დოკუმენტებში კვლევით კომპონენტს მითითებული ჰქონდა კრედიტი, მაგრამ შეფასება იყო ერთჯერადი, ამაზეც, რჩევის სახით უთხრეს რომ ამოიღონ დაწესებულების დოკუმენტებიდან, ის მთავარი ხაზი, რაზეც არის საუბარი, რომ კვლევითი დოკუმენტი შეფასებული იყოს ერთჯერადად დაწესებულებას დაცული აქვს.

სხდომისთავმჯდომარემსთხოვადაწესებულებისწარმომადგენლებსწარმოედგინათმათიპოზიცია.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელმა, თეა ქოიავამ განაცხადა, რომ პირველი რეკომენდაცია გაითვალისწინეს და რაც შეეხება მეორე რეკომენდაციას, გათვალისწინებულ იქნა, მაგრამ მათ აქვთ ერთჯერადი შეფასება, კოლოკვიუმებთან დაკავშირებითაც ჰქონდათ თუმცა ეს იყო ძალიან ადრე, როდესაც კოლოკვიუმს აფასებდნენ შესაბამისი ნიშნით, თუმცა ეს რეკომენდაცია გათვალისწინებულ იქნა ადრე პერიოდშივე და კოლოკვიუმები გადაიტანეს სამეცნიერო კომპონენტის ნაწილში, სადაც ის არ ფასდება, უბრალოდ სამეცნიერო კომპონენტების ნაწილშია გაერთიანებული. რაც შეეხება თვითონ განათლების კანონში ფორმულირებას, 46 მუხლის გ პუნქტში წერია „დოქტორანტურის საგანანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა არანაკლებ 3 წელი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს არა უმეტეს 60 კრედიტს“, აქედან გამომდინარე, დაწესებულებას აღნიშნული პუნქტი დარღვეული არ აქვს, 60 კრედიტი არის სასწავლო კომპონენტი, კანონში სამეცნიერო კომპონენტზე საუბარი არ არის და 120 კრედიტი რომელიც მინიჭებულია სამეცნიერო კომპონენტზე არ არის შეფასებითი და ერთჯერადად ხდება შეფასება აღნიშნულ პროგრამაზე. იმის შემდეგ, რაც ეს საკითხი დაისვა დაწესებულებამ სხვა პროგრამებსაც გადახედა და ბევრგან

იყო ასეთი შემთხვევა რომ იყო 180 კრედიტი, მაგრამ სასწავლო კომპონენტი იყო 60 კრედიტის ფარგლებში, ზოგიერთ უნივერსიტეტში 60 კრედიტზე ნაკლებიც იყო. მათთან შიდა დოკუმენტში იყო ასეთი ჩანაწერი და ეს ცვლილება რექტორის ბრძანებითაც შევიდა და დოქტორანტურის დებულებაშიც შევიდა.
ფაკულტეტის დეკანმა, მარინა ქორიძემ განაცხადა, რომ თვით ექსპერტიც კი, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პროცესში იყო ჩასული ახლა განაცხადა, რომ იურისტების დახმარება დასჭირდა, რათა კონკრეტულად აღქმულიყო ის რაც წერია კანონში, თუმცა მათ შეფასების სისტემა არ აქვთ დარღვეული და გაითვალისწინეს ექსპერტების მიერ გაცემული რეკომენდაციები/რჩევები ამ საკითხთან დაკავშირებით და შემდგომში საგანმანათლებლო პროგრამა აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინებით წარიმართება და მისი აზრით, აკრედიტაციის პროცესი ემსახურება იმას, რომ რა ხარვეზებიც არის პროგრამაში, რომლის გასწორებაც შესაძლებელია - შესწორდეს/აღმოიფხვრას და პროგრამა გამართული სახით მიეწოდოს სტუდენტს.

სხდომისთავმჯდომარემმიმართასაბჭოსწევრებსწარმოედგინათკითხვებიანმოსაზრებებიარსებობ ისშემთხვევაში.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დაადასტურა, რომ შეფასება და კრედიტების მინიჭება ერთჯერადად ხდებოდა, ანუ ეს 120 კრედიტი არ იყო ფრაგმენტული.
საბჭოს წევრის, მანანა კევლიშვილის თქმით მას ესმის, რომ კანონში ყურადღება სასწავლო კომპონეტენტზეა გამახვილებული, თუმცა 180 კრედიტს აღარ ვახსენებთ, თუმცა ამასთანავე უნდა იყოს ერთჯერადი შეფასება, მაგრამ კურიკულუმში წერია 10 კრედიტი, 30 კრედიტი სემესტრების მიხედვით, მაგრამ სტუდენტს ვერ მიენიჭება კრედიტი, თუ შეფასება არ მოხდა, კრედიტის მინიჭება თავისთავად გულისხმობს შეფასებას.
ექსპერტმა, ინგა ლომაძემ განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რჩევა ამასთან დაკავშირებით, რომ ამოიღონ ეს მინიშნება კრედიტთან დაკავშირებით კვლევით კომპონენტში. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ითვალისწინებენ, ეთანხმებიან და ჩასწორდა აღნიშნული შენიშვნა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:39
დასრულების დრო: 18:48
აკრედიტაციისსაბჭოსმიერსაგანმანათლებლოპროგრამისშეფასებადაკენჭისყრა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბუნებრივ ნაერთთა ანალიზის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციისსაბჭომგაიზიარაექსპერტთამიერგაცემულირეკომენდაცი(ებ)იდაჩამოაყალიბაშემდ ეგირედაქტირებით:

- სასწავლო კურსების „სოციალური ფსიქოლოგია დოქტორანტებისთვის“, „აკადემიური წერა“ და „სწავლების თანამედროვე მეთოდები“ სილაბუსებში გასწორდეს შეფასების სქემაში ხარვეზები, კერძოდ: სასწავლო კურსის „სოციალური ფსიქოლოგია დოქტორანტებისთვის“ შეფასების კრიტერიუმებს არ აქვს ქულების მახასიათებლები

(შეფასების სკალა); სასწავლო კურსის „სწავლების თანამედროვე მეთოდები“ შუალედური გამოცდის კრიტერიუმები და შეფასების სკალა არ არის ასახული სილაბუსში, დასკვნითი გამოცდის კრიტერიუმებს არ აქვს ქულების მახასიათებლები; სასწავლო კურსს „აკადემიური წერა“ შეფასების სქემაში დასკვნითი გამოცდის შეფასების რუბრიკებში არ აქვს ქულების მახასიათებლები, ხოლო სადაც არის მითითებული მაქსიმალური ქულა (მაგ. 3 ქულა) შეფასების სქემაში უნდა იყოს განსაზღვრული დონეების ქულების მახასიათებლები. გარდა ამისა, ამავე სილაბუსში გაწერილია შუალედური გამოცდის შეფასების კრიტერიუმები, მაგრამ გამორჩენილია შეფასების მეთოდის მითითება.

- მიზანშეწონილია პროგრამის ზოგად კურიკულუმში დადგენილი სტანდარტი და ფაქტობრივი სინამდვილე აისახოს აღწერილობით ნაწილში და შესაბამისობაში მოვიდეს იმგვარად, რომ არ იწვევდეს ბუნდოვანებას.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3^1 პუნქტე ბის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბუნებრივ ნაერთთა ანალიზის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიანიჭა აკრედიტაცია 4 წლის ვადით, 3 თვეში ანგარიშის წარმოდგენით.

საბჭოს სხდომა დატოვა დიმიტრი გეგენავამ.

5. მეხუთე საკითხი: სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურისა და ლიტერატურის თეორიის სადოქტორო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	თანამედროვე ქართული ლიტერატურა და ლიტერატურის თეორია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	--
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	N52, 4/4/2018
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	---
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	კვალიფიკაციის დასახელება	ფილოლოგიის დოქტორი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	---

9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	180
11	განხორციელების ადგილი	---
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	---

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
ü არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
ü დიახ
თვითაცილება განაცხადა - რომეო გალდავამ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა
საბჭოს თავმჯდომარემ მიმოიხილა აღნიშნული საკითხი, განაცხადა, რომ პირველ სექტემბერს იყო პროგრამის მონიტორინგის შედეგების განხილვა, შემდეგ საბჭოს წევრები გავიდნენ სათათბიროდ, გადაწყვეტილების მისაღებად, თუმცა იმისათვის რომ გადაწყვეტილება ობიექტურად/სამართლიანად მიეღოთ გადაწყვიტეს დამატებითი მოსმენა დაენიშნათ. შემდეგ გამოვიდნენ სათათბიროდან, რადგან საჭიროდ ჩათვალეს საბჭოს ერთ-ერთი წევრი, რომელიიც აღნიშნული დარგის სპეციალისტია ყოფილიყო საკითხის განხილვისას და პროგრამის ხელმძღვანელებიც, რადგან მათთვის დაესვათ კითხვა: დაწესებულების სადოქტორო პროგრამაში არის სასწავლო კომპონენტი და გარკვეული საგნებია, რომელსაც გადიან/სწავლობენ დოქტორანტები და ამ საგნებში უმეტესად მითითებულია სასწავლო ლიტერატურა, რომელებიც ხშირ შემთხვევაში არის მოძველებული, ასევე, არის ნაკლებობა იმ სამეცნიერო სტატიების ამ სფეროში, რომლითაც უნდა იზრდებოდეს/იკვებებოდეს დოქტორანტი და საბოლოო ჯამში, მომავალში მან შექმნას ახალი ცოდნა, რომლის გენერირება უნდა იყოს სადოქტორო პროგრამის ძირითადი მიზანი და ფუნქცია უნდა ხორციელდებოდეს ამ საკითხებთან დაკავშირებული უახლესი, თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურით, როგორებიცაა - სამეცნიერო სტატიები, მონოგრაფიები და არა სახელმძღვანელოები, თუმცა შესაძლებელია დარგის სპეციფიკა იყოს. საბჭოს წევრებს აინტერესებთ დაწესებულების პოზიცია ამასთან დაკავშირებით.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრს, პაატა ბრეკაშვილს დაეფიქსირებინა აზრი.
საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა განაცხადა, რომ ყველაფერი ითქვა, კვლევითი მასალის არსებობა სავალდებულო ლიტერატურაში და თუ სახელმძღვანელო არის და ეს არის ერთადერთი და მეტი არაფერია ამ დარგში მისი თანამედროვე გამოცემა, გამოცემის წელი და მასალა რამდენად შესაბამისია სადოქტორო დონისთვის მარტივ ფორმულით იგივე ხარისხი რომ მიენიჭოს ქვედა დონეებზე (სამაგიტროზე, საბაკალავროზე) იგივე მასალა გამოდგება თუ არა და რატომ არის ეს მასალა სადოქტორო, კვლევითი კომპონენტის შემცველი.

საბჭოს თავმჯდომარის თქმით საბჭოს ყველა წევრი თანხმდება, რომ ძალიან კვალიფიციური პროფესურა ასწავლის აღნიშნულ პროგრამაში და სწორედ ამიტომ გაუჩნდათ ეს კითხვები, რომ კვალიფიციური კადრებისგან მიეღოთ პასუხი იმაზე, რაც თვითონ ნაკლებად იციან.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადეგენელი, პროფესორი, მარიამ მირესაშვილი, მიესალმა საბჭოს წევრებსა და დამსწრე პირებს და განაცხადა, რომ სილაბუსებთან და მონოგრაფიებთან დაკავშირებით არ გასჩენიათ ექსპერტებს კითხვა, რომლებმაც შეაფასეს პროგრამა, მან იკითხა რომელი დარგის წარმომადგენელია საბჭოს წევრი პაატა ბრეკაშვილი.

პაატა ბრეკაშვილმა უპასუხა, რომ ბიზნეს ადმინისტრირების წარმომადგენელია და ეს საჯარო ინფორმაციაა.

მარიამ მირესაშვილმა მიმართა პაატა ბრეკაშვილს კონკრეტულად რომელი სახელმძღვანელო/სილაბუსი არ მოეწონა, რადგან ასე ვრცლად საუბარი რა აქვთ მითითებული, რომელი წელია და ა.შ. ცოტათი რთულია და სთხოვა დაეკონკრეტებინა, რადგან საბჭოს სხდომას ესწრება პროგრამაში ჩართული ორი ასოცირებული პროფესორი, თუ მათი სილაბუსებია თვითონ უპასუხებენ, თუ არ არის ნებისმიერს შეუძლია პასუხის გაცემა, რადგან ერთად გაიარეს სილაბუსები.

პაატა ბრეკაშვილმა აღნიშნა, რომ არის ორი კომპონენტი, არ ამბობს, რომ რომელიმე სილაბუსი არ მოეწონა ან კონკრეტული საგანი, არც თემატურად შედის დისკუსიაში და საბჭოს ფარგლებში მოხდება ამის განხილვა.

მარიამ მირესაშვილმა მიმართა პაატა ბრეკაშვილს დაასახელოს კონკრეტული სილაბუსი.

პაატა ბრეკაშვილმა განაცხადა, რომ სილაბუსების 90%-ში კვლევითი ნაშრომები არ არის ძირითად ლიტერატურად.

მარიამ მირესაშვილმა მიმართა პაატა ბრეკაშვილს, რომ მას არ უნდა 90%, დაასახელოს 1 სილაბუსი მაგალითად და დაასახელონ და ასე გააგრძელონ მსჯელობა.

პაატა ბრეკაშვილმა განაცხადა, რომ იმყოფებოდა ქალაქგარეთ და ელექტრონული გაჯეტით არის შესული, შესაბამისად შეუძლია განხილვის მსვლელობის დროს გავიდეს და დაასახელოს კონკრეტული სილაბუსი, მაგრამ მისი მესიჯი არის შემდეგი, კვლევითი ნაშრომები სავალდებულო ლიტერატურაში არ არის მითითებული. დააზუსტა არის თუ არა.

მარიამ მირესაშვილმა უპასუხა, რომ რა თქმა უნდა არის, უმეტესწილად კვლევებზე აქვთ აღებული ორიენტაცია და არა სახელმღვანელოებზე. მესამე დონეში სახელმძღვანელოები საერთოდ არ აქვთ მითითებული. ამიტომ მოითხოვა, რომ დაასახელოს კონკრეტული სილაბუსი, რადგან დაწესებულების ყველა წარმომადგენელმა იცის რა უწერიათ სილაბუსში და ასე ზოგადად საუბარი რთულია.

პაატა ბრეკაშვილმა განაცხადა, რომ ნახავს და ეტყვის კონკრეტულად.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო პოპიაშვილმა აღნიშნა, რომ ამ პროგრამის აკრედიტაციის დროს ექსპერტებმა რჩევის სახით გასცეს, რომ უნდა განახლდეს საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდი, ასევე უნივერსიტეტმა უნდა შეიძინოს/უზრუნველყოს შესაბამის დარგთან ორიენტირებული სამეცნიერო ბაზები და მონიტორინგის დროს ამას მიაქციეს ყურადღება და აღნიშნულია მათ დასკვნაში, იმ ნაწილში, სადაც განმეორებითი აკრედიტაციის დროს მნიშვნელოვანი ფაქტები არის მიმოხილული, უნივერსიტეტმა საგანგებოდ გაუგზავნა ექსპერტებს ის ახალი ბაზები და საბიბლიოთეკო რესურსები, რომლებიც სწორედ პროგრამის აკრედიტაციის შემდგომ იქნა განხორციელებული, ასევე ბოლო 2 წლის განმავლობაში ამ დარგში რამდენიმე მნიშვნელოვანი კვლევა/მონოგრაფია შეიქმნა, ექსპერტებმა მიაქციეს ყურადღება რომ ისინი შესულია სილაბუსებში, მაგ., უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის კუთხით ძალიან საჭირო და კარგი რამდენიმე მონოგრაფია, რომლებიც წარმოდგენილია სილაბუსებში, ზოგადად მისი აზრით ეს პროცესი მუდმივად განახლებადია, სილაბუსი ყოველთვის ღია უნდა იყოს ახალი წიგნებისა და ნაშრომებისთვის, რასაც აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა

დარგისათვის და ექსპერტებიც ამას აქცევენ ყურადღებას, მეორე მხრივ ფუნდამენტური დარგები მათ შორის ფილოლოგიის ნაწილი და ქართული ფილოლოგია თითქოს მოითხოვს იმ ტრადიციის დადასტურებას, რაზეც არის დაფუძნებული ქართული ფილოლოგიის მეცნიერებები და ესეც შესაძლებელია უკვე ნაწილობრივ გადაფასებულია, თუმცა გარკვეულწილად მაინც სამეცნიერო მიმოქცევაში არსებული ფენომენია და ჯერჯერობით ისევ წამყვან უნივერსიტეტებში ქართველოლოგიის დარგში ფიქსირდება ამის პრეცედენტები 1940 წელს გამოცემული წიგნის შეტანა სილაბუსში, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს უახლეს გამოცემებს, რომლებიც თანამედროვე მოთოდოლოგიით არის შედგენილი და ითვალისწინებს იმ საერთაშორისო თეორიებს, რომლებიც ამ დარგში (განსაკუთრებით ზოგად ლიტერატურათმცოდნეობაში) არის წარმოდგენილი, განაცხადა, რომ ერთი ასეთი ძალიან მნიშვნელოვანი კვლევების ავტორი არის თვითონ მარიამ მირესაშვილი, რომლის კვლევებსაც ეყრდნობიან ამ დარგის წარმომადგენლები და ამის ხაზგასმა არ უნდა იყოს უხერხული, როგორც ექსპერტისგან, რადგან პირველ რიგში ამ დარგში მუშაობს და ეს არის მისთვის მნიშვნელოვანი, თუმცა ის რაც საბჭომ განაცხადა ეს არის ერთი მხარე თანამედროვე კვლევებისა და მეთოდებისა, რაც არის ძალიან მნიშვნელოვანი ჰუმანიტარული და ქართველელოლოგიური დარგის წარმომადგენლებისათვის, რომ იცნობდენ თანამედროვე მეთოდოლოგიას და მათი ნაშრომები, მათ შორის ახალგაზრდა მეცნიერების, დოქტორანტების იყოს გამართული, თანამედროვე აპარატებით, ამის შესახებ ექსპერტებსაც ჰქონდათ საგანგებო მსჯელობა, რომელიც დასკვნაშიც აისახა რეკომენდაციებშიც და რჩევებშიც, რომ დოქტორანტების ნაშრომები უნდა დაიხვეწოს, ყურადღება მიექცეს აკადემიურ კეთილსინდისიერებას, სამეცნიერო სტილს და გათავისუფლდეს ნაშრომები პუბლიცისტური სტილისგან, რაც ასევე პროცესია. ასევე ისიც, რომ უახლესი გამოცემებით შეივსოს დოქტორანტებისთვის პუბლიკაციების სია, რომელიც ერთვის დებულებას და აქვს სარეკომენდაციო ხასიათი, სად უნდა გამოაქვეყნონ დოქტორანტებმა თავისი ნაშრომები, რომ ინტერნაციონალიზაციის კომპონენტი შეასრულონ და სამი სავალდებულო ნაშრომი როგორი ტიპის გამოცემებში უნდა გამოქვეყნდეს და ესეც არის ძალიან მნიშვნელოვანი პროცესი.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა განაცხადა, რომ მათ ჰქონდათ რეკომენდაცია, კონკრეტული სია, თუ სად უნდა აქვეყნებდნენ დოქტორანტები, სთხოვს დაასახელოს რამდენიმე.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის თქმით ინტერნაციონალიზაციის კუთხით აუცილებელია საერთაშორისო რეცენზირებად/რეფერირებად ჟურნალებში გამოაქვეყნონ, ერთ-ერთი მათგანი, რომელიც საქართველოშიც გამოდის არის მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“, სადაც შეუძლიათ დოქტორანტებს გამოაქვეყნონ ნაშრომები, ლიტერატურის ინსტიტუტში გამოდის ჟურნალი „სჯანი“, რომელიც აკმაყოფილებს ამ კრიტერიუმებს, ასევე ილიაუნის ჟურნალი, რომელსაც ელოდებიან, რომ ისევ იქნება, ქუთაისის უნივერსიტეტის ჟურნალიც არის რეგისტრირებული საერთაშორისო ბაზებში.

პაატა ბრეკაშვილი დაინტერესდა დევს თუ არა ასეთი ჟურნალები აღნიშნულ სილაბუსებში, სავალდებულო ლიტერატურაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მარიამ მირესაშვილმა განაცხადა, რომ მათ აქვთ გამოყენებული. პაატა ბრეკაშვილმა შეახსენა მარიამ მირესაშვილს, რომ კითხვა დასმული იყო ექსპერტთან მიმართებით.

ექსპერტმა, ნინო პოპიაშვილმა გაცხადა, რომ ჟურნალი „სჯანი“, რომელიც დაასახელა და ასეთი ტიპის გამოცემებს და სილაბუსებში მითითებულია შემდგომ უკვე ჟურნალ „სჯანში“ გამოქვეყნებული ნაშრომები, რომელიც შემდეგ უკვე მონოგრაფიად გამოიცა, ასეთი ნაშრომები არის მითითებული, მაგ., პროფესორი ბელა წიფურიას ნაშრომი, რომლის ნაწილებიც დაიბეჭდა ჟურნალ „სჯანში“, სილაბუსში მითითებული ბელა წიფურიას მონოგრაფია, რომელიც ამ 2-3 წლის წინ გამოიცა და მანამდე ბელა წიფურიას 3-4 პუბლიკაცია იყო „სჯანში“, მანამდე თვითონ ექსპერტი უთითებდა „სჯანს“ და შემდეგ უკვე მონოგრაფიას.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა უპასუხა პროგრამის განმახორციელებლების მიერ მის მიმართ დასმულ კითხვას, ერთი სილაბუსის დასახელების შესახებ, მან განაცხადა, რომ გახსნა

პირველივე სილაბუსი „ლიტერატურული კომპატივისტიკა“, აღნიჩნულ სილაბუსს აქვს 2 სავალდებულო ლიტერატურა: გაფრინდაშვილის - „შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის თეორიული საფუძვლები“ (2012 წლის) და ასევე გაფრინდაშვილის - „უცხოეროვნული ლიტერატურისა და სამყაროს აღქმის თავისებურებანი“ (1992 წლის).
პაატა ბრეკაშვილმა იკითხა არის თუ არა ამ ორიდან რომელიმე სამეცნიერო, თუ ლიტერატურის თორიულ საფუძვლებზეა საუბარი. შეიძლება თუ არა იყოს თეორიის საფუძვლები 1992 წელს გამოცემული ლიტერატურა დოქტორანტის სავალდებულო ლიტერატურა და აღნიშნა, რომ არ არის დარგის ექსპერტი, თუმცა როგორც საბჭოს წევრს აქვს უფლება დასვას კითხვა სილაბუსთან მიმართებით.
მარიამ მირესაშვილმა განაცხადა, რომ შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის, როგორც დარგის კვლევა დაიწყო 1933 წელს აშშ-ში, რომლის ავტორებმაც თავიანთ სიცოცხლეში კიდევ 12-ჯერ გამოსცეს ეს წიგნი 2 წელიწადში 25 ევროპულ ენაზე ითარგმნა, შემდეგ იაპონურად, არაბულად და დღემდე 1933 წელს დაწერილი ლიტერატურის თეორია აბსოლუტურად ყველა უნივერსიტეტში ისწავლება, სადაც კი ლიტერატურის თეორია და განსაკუთრებით კომპარატივისტიკა ისწავლება. კომპარატივისტიკა ეს არის შედარებითი კვლევები, არსებობს კომპარატივისტული ლინგვისტიკა და კომპარატივისტული ლიტერატურათმცოდნეობა, ქართულ სინამდვილეში პირველად 2010 წელს ილიაუნიმ თარგმნა ზემოაღნიშნული წიგნი, ეს დევს კიდეც ილიაუნის ვებგვერდზე, ეს იყო პირველი ქართულ ენაზე დაბეჭდილი მონოგრაფია, რომელსაც გაეცნო ქართველი მკითხველი, ამდენად ეს არ არის მხოლოდ სახელმძღვანელო, ეს არის ერთდროულად სახელმძღვანელოც და კვლევითი მონოგრაფიაც, შემდეგ ირმა რატიანმა (დიუმას ცენტრის დაფინანსებით) მოიგო გრანტი და დიუნის ძიურიშინის ასევე შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლები გამოსცა, დიუნის ძიურიშინი არის რუმინელი, გადატრიალების შემდეგ მოხვდა საფრანგეთში და ფრანგულ ენაზე გამოსცა ეს წიგნი და ეს იყო მისი მეორე წიგნი, მაგრამ ქართულ სამეცნიერო სივრცეში პირველი წიგნი ქართულ ენაზე დაწერილი და არა თარგმნილი გახლდათ ნანა გაფრინდაშვილის წიგნი. აღნიშნულ პროგრამაზე ერთადერთი მოწვეული პროფესორი გახლავთ ნანა გაფრინდაშვილი, რადგან ჩათვალეს, რომ თუ კი არსებობს ავტორი რატომ უნდა წაიკითხოს სხვამ, მით უმეტეს რომ ავტორი დათანხმდა. რაც შეეხება 1992 წელს, ეს საჭიროა, რადგან ტიპოლოგიურ კვლევებს ეძახდნენ ამ კომპარატივისტიკას, ანუ ლიტერატურულ ურთიერთობებში შედიოდა რაღაცნაირად ტიპოლოგიური კვლევები და იმისთვის რომ დაემტკიცებინათ ნულზე არ ხდება და ნულიდან არ იწყებენ და ადრე არსებობდა, უბრალოდ სხვა ასპექტში განიხილებოდა, საბჭოთა ტრადიციის ასპექტებში, მეორე წიგნში კი ქართულ ლიტერატურაზეა საუბარი, ნათარგმნ წიგნებში კი უცხოური ლიტერატურაა მიმოხილული, დაწესებულების წარმომადგენელთა აზრით დოქტორანტი, რომელიც სწავლობს ყველა უნდა ერკვეოდეს, რადგან ეს არის ისეთი ფუნდამენტური მონოგრაფია, რომელიც აუცილებელია დოქტორანტმა იცოდეს.
პაატა ბრეკაშვილმა, როგორც დარგის არა ექსპერტმა, იკითხა არის თუ არა 1992 წლის შემდეგ ამ მიმართულებით შექმნილი ახალი სამეცნიერო ნაშრომი.
მარიამ მირესაშვილმა უპასუხა, რომ არსებობს და თვითონ საბჭოს წევრის მიერ დასახელებული ლიტერატურა 2012 წელს არის გამოცემული, მას შემდეგ რა სტატიებიც გამოიცემა ამაზეც ამუშავებენ ბავშვებს. აღნიშნულია სილაბუსში კონკრეტულ თემებთან მიმართებით.

პაატა ბრეკაშვილმა განაცხადა, რომ ეს არის მისი მესიჯი, რომ 1992 წლის შემდეგ რა სამეცნიერო სტატიებიც არის გამოცემული, სავალდებულო ლიტერატურაში ეს არ ჩანს.
მარიამ მირესაშვილმა უპასუხა, რომ სავალდებულო არის სავალდებულო, ანუ აუცილებელი, რომელიც აუცილებლად უნდა ჰქონდეთ წაკითხული, თუმცა სილაბუსებში არის ჩაშლილი თემები, სადაც მითითებულია სტატიები.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, როგორ უნდა მოიქცნენ, მისი კითხვაც ეს არის, პაატა ბრეკაშვილს ძალიან საინტერესო პოზიცია აქვს, მონოგრაფიებს შორის პერიოდში რაც გამოქვეყნდა, რატომ არ არის დასახელებული.

პაატა ბრეკაშვილმა დააზუსტა, რომ მონოგრაფიებს შორის კი არა ბოლო 5-10 წლის მანძილზე
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მეორე წიგნი რომელიც დასახელდა ნანა გაფრინდაშვილის არის 2012 წელს გამოცემული, ამ მონოგრაფიაში ასახულია ამ პერიოდში (1992 წლის შემდეგ) რა სიახლეებიც შეინიშნებოდა დარგში ასახა 2012 წელს. მას აინტერესებს ავტორებმა უნდა ასწავლონ თუ არა საკუთარი მონოგრაფიებით თუ სხვა კვლევების შტუდირება მოახდინონ, მისი აზრით როდესაც ასეთი შემთხვევაა (მონოგრაფიების ავტორის საავტორო კურსია), მაშინ შესაძლებელია მეტი რესურსი არსებობდეს, უნდა ითქვას, რომ ამ დარგში არის სხვა წიგნიც, ერთ-ერთის თანაავტორი ნინო პოპიაშვილიცაა, მაგრამ ისინი გამოიყენება საბაკალავრო დონეზე, მაგ., ლიტერატურის შესავალი, ლიტერატურის ინსტიტუტმა გამოსცა 2009 წელს და მას შემდეგ რამდენჯერმე გამოიცა, ერთ-ერთი ვრცელი თავი, დაახლოებით 2/3 მისია, მხოლოდ საბაკალავრო საფეხურზე გამოიყენება და დოქტორანტებს ვერ მიუთითებენ, რადგან წინაპირობა არის ჩადებული, რომ უნდა იყოს ჰუმანიტარი/ფილოლოგი, ასევე არსებობს რამდენიმე სხვა წიგნი, რომელსაც მაგისტრანტები გადიან ხოლმე, რადგან ამ საფეხურზე ძალიან მნიშვნელოვანია ცოდნის კარგად გაღრმავება, მას ესმის, რომ კომპარატივისტიკა ქართული მასალით არის ძალიან მნიშვნელოვანი, რადგან დოქტორანტები უნდა ჩაუღრმავდნენ სხვა ლიტერატურულ წყაროებს, არ შეიძლება რომ დარჩნენ მხოლოდ ერთ მასალაზე აუცილებელია რომ შედარდეს რა ლიტერატურული ტენდენციები გამოიკვეთებოდა და ქართული ლიტერატურა როგორ და რანაირად ასახავდა ამას. საბჭოთა პერიოდში საერთოდ სხვა სახელი ერქვა ამ მეცნიერებას, იდეოლოგიურად წნეხის ქვეშ იყო ლიტერატურათმცოდნეობა, რადგან პირადი მტერი იყო მისი, ამიტომ ყველანაირად ის, რაც შედარებით პროცესებს გულისხმობდა და ამ მიმართულებით შეიძლებოდა კვლევა არიდებული იყო, ახლა ეს საკითხი რა თქმა უნდა მთლიანად განთავისუფლებულია იდეოლოგიური წნეხისგან, თუმცა ძალიანაც არ უნდა გაიტაცოს საზოგადოება კომპარატივისტიკამ, რადგან ყველაფრის ყველაფერთან შედარება შეიძლება თუ მოინდომებენ და გარკვეული მეთოდოლოგიური რეკომენდაციები გაცემულია სტუდენტებთანაც. მისი მოსაზრებით, ეს არის მონოგრაფიების ავტორის საავტორო კურსი და ალბათ ეს არის ერთ-ერთი ნიშა, რომელიც უნივერსიტეტმა იპოვა.
პაატა ბრეკაშვილმა აღნიშნა, რომ აბსოლუტურად ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, რომ არ უნდა ჩაიკეტონ არცერთი ავტორის, არცერთი ქვეყნის მიმართულებით და იმ მეცნიერული მიმართულებით, რასაც დოქტორანტს ასწავლის კვლევას, სადოქტორო მიმართულება ხომ არ არის მხოლოდ რეგიონის, შესაბამისად უნდა იყოს ყოვლისმომცველი და ამ დარგში შექმნილი ყველა ცოდნის გამაერთიანებელი, საავტორო კურსი სადოქტორო დონეზე, როდესაც სტუდენტს ყველანაირი თვალსაწიერი უნდა მივცეთ, მხოლოდ ლექტორის ნაშრომი არ მიაჩნია სწორად და სჯობს არა მხოლოდ მონოგრაფები მიეცეთ, არამედ ყველა ის კველევითი ნაშრომი, რომელიც ურთიერთსაწინააღმდეგოა ისიც გაარჩიონ, როგორც სავალდებულო ლიტერატურა, აქედან დოქტორანტმა უნდა გამოიტანოს თავისი აზრი და დაებადოს იდეები. ეს იყო პათოსი მთელი მისი კითხვის, მისი მოსაზრებით სჯობს იყოს კვლევითი ნაშრომები სავალდებულო ლიტერატურაში, ყველაფერი თანამედროვე რაც შექმნილა.
დაწესებულების წარმომადგენელმა, მარიამ მირესაშვილმა განაცხადა, რომ პაატა ბრეკაშვილს არ აქვს ეს წიგნი წაკითხული ექსპერტებისგან განსხვავებით, საქმე ის არის, რომ ამ წიგნში სწორედ ის კუთხე არის დაჭერილი, რასაც პაატა ბრეკაშვილი ასახელებს, ანუ იქ არის მომხრეებიც, არის საწინააღმდეგო მოსაზრებებიც და სწორედ ის არის, რასაც საუბრობდა და ვინც გადაწყვეტს ამ მიმართულებით გააგრძელოს მუშაობა, წიგნი რომელიც ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ახსენა ისიც უნდა წაიკითხოს, ცაგარელის ნარატივებიც, რომ თვითონ ჩამოყალიბდეს ვის მხარზე დადგება, ვის პოზიციას გაიზიარებს და ექნება შესაბამისი არგუმენტაცია.
საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მისი აზრით, მაგ., ირაკლი ბურდულს მიყავს რაღაც საგანი, ასწავლის დოქტორანტურაში, ამ საკითხებთან დაკავშირებით მუშაობს ძალიან დიდი ხანი 10-20 წელი, იმისთვის, რომ „ამომწურავი“ მონოგრაფია ჰქონდეს, 1992 წლიდან ირაკლი

ბურდულმა, რომ რაღაც დაამუშავა, მოვიდა 2000 წელი, კიდევ რაღაც დაამუშავა, მოვიდა 2012 წელი, კიდევ დაამუშავა, პერმანენტულად იცვლება შეხედულებები, გამოდის ჟურნალები, სწორედ ამას ამბობს პაატა ბრეკაშვილი.
დაწესებულების წარმომადგენელმა, მარიამ მირესაშვილმა განაცხადა, რომ 2012 წელში უკვე ასახულია ყველაფერი, ცალკეული სტატიები.
საბჭოს თავმჯდომარემ გააგრძელა სიტყვა, რომ 2012 წლიდან გავიდა ბევრი წელი, ყოველ წელს გამოდიოდა ახალი სტატიები. დაწესებულების წარმომადგენელმა შეაწყვეტინა სიტყვა, რაზეც შეახსენა, რომ მათი მტერი არავინ არის, ასევე ხედავს მათ დამოკიდებულებას პაატა ბრეკაშვილის მიმართ და მოუწოდა დამშვიდებისაკენ. მან განაცხადა, რომ 2012-დან 2020-მდე ან 2018-მდე ხომ გამოდის სამეცნიერო სტატიები, რომლებიც პერიოდიკაში/ჟურნალებში იბეჭდება, სანამ 2020 წელს ლექტორი მონოგრაფიაში მოუყრის თავს და დოქტორანტს მიაწვდის მანამდე იმას რასაც აკეთებენ არასავალდებულო ლიტერატურაში უნდა გადაიტანონ სავალდებულო ლიტერატურაში, რადგან მხოლოდ ირაკლი ბურდულის მიერ სხვადასხვა ჟურნალებში გამოქვეყნებული სხვადასხვა სტატიების მონოგრაფიების გამოცემას კი არ უნდა ელოდონ, არამედ დოქტორანტურის ეტაპზე, ყოველ სემესტრში უნდა განახლდეს ლიტერატურა და შესთავაზონ დოქტორანტს ამ სამეცნიერო სტატიებით კვება, რადგან მან თავისი ახალი აზრები ჩამოაყალიბოს და მოახდინოს ცოდნის გენერირება, - აღნიშნა პაატა ბრეკაშვილმა.
სასწავლო კურსთან „ქართული ლიტერატურის პარადიგმები ევროპული ლიტერატურის კონტექსტში“ დაკავშირებით საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ამ საგნის სავალდებულო ლიტერატურაში წერია: ეკელიძე - „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია“ (1958-1960), სირაძე - „ქართული აგიოგრაფია“ (1987) და ა.შ. ეს შეიძლება გამოსაყენებელი იყოს, თუმცა რამდენად დასაჯერებელია პერიოდიკაში, რომელიც Scopus-შიც არის რეგისტრირებული ეს ჟურნალები და სადაც ყოველ წელიწადში 1-2-ჯერ თანამედროვე სტატიები ქვეყნდება, არცერთი სტატია არ არის, რომელიც მიეძღვნება ქართული ლიტერატურის ანარეკლებს ევროპული ლიტერატურის კონტექსტში, ზუსტად ამას ამბობდა საბჭოს წევრი, რომ თუ ესეთი სტატიები არის და აუცილებლად იქნება ეს უნდა აისახოს ლიტერატურაში, თუკი ამას ისედაც აკეთებენ დამატებითი ლიტერატურის სახით, კონკრეტული საკითხის განხილვის პროცესში ეს უნდა მიეთითოს და უნდა ჩანდეს სილაბუსებში კონკრეტული საკითხის გასწვრივ დამატებით ლიტერატურაში, ანუ რასაც აკეთებენ რეალურად აისახოს სილაბუსებშიც.
პაატა ბრეკაშვლმა განაცხადა, რომ არ მოსწონს მისი აზრის მიმართ გამოწვეული აგრესია, რადგან გულწრფელად გულშემატკივრობს, თვითონ რომ სწავლობდეს ამ პროგრამაზე რას ისურვებდა, არ უნდა რომ დაწესებულებამ ცუდად მიიღოს კრიტიკა, რადგან ეს არის გამაჯანსაღებელი კითხვები, მისი აზრის მთავარი ამოსავალი არის, რომ მეცნიერულადაც რომ შეხედონ არ არის საჭირო და კარგი მეცნიერის გაზრდისთვის დიდი მეცნიერის გადამუშავებული სამეცნიერო ნაშრომების მონოგრაფია თან კომპილირებულ სახედ, როცა აწვდიან ახალგაზრდა მეცნიერს არაა სწორი, ის თავად უნდა გახდეს მეცნიერი და პირველწყარო ორიგინალს რომ ეცნობა სამეცნიერო ნაშრომების ეს არის მთელი აზრი, რომ გაიზარდოს მეცნიერად, რომ პირადად ორიგინალი სამეცნიერო ნაშრომები უნდა იდოს პირადად იმ ავტორისაც, რომელმაც გადაამუშავა და ამით უნდა სწავლობდნენ და რაც შეიძლება ბოლო დროს გამოცემული ყველა ნაშრომი და მათ შორის კლასიკურიც იდოს 20 წლის წინანდელი, როცა უკვე კომპილაცია და გადამუშავებული ეძლევა, ასე არ იზრდება მეცნიერი, მას უბრალოდ დაჭერილ თევზს აწოდებენ და არ ასწავლიან თევაზობას.
დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რაც შეეხება მის სილაბუსს ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა აქვთ გამიჯნული, ალბათ ეს არის პრობლემა, თუმცა როდესაც კონკრეტულ პრობლემას ასწავლის განაახლა ლიტერატურა, მაგ., 2019 წელს ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ გამოცემული სახელმძღვანელოები შეიტანა, როდესაც გამოჩნდა სტატიების კრებული, გამუდმებით აახლებს ლიტერატურას, რაც შეეხება კეკელიძე/ზარამიძის ხსენებას უნდოდა ეჩვენებინა, რომ ქართული ლიტერატურა ყოველთვის იყო ევროპულ კონტექსტში საბჭოთა კავშირის დროსაც კი და სხვა ავტორები არ არიან საბჭოთა ლიტერატურაში, იმ ძველთან

ერთად მკვლევარმა ესეც უნდა იცოდეს საბჭოთა კავშირი როგორ უყურებდა და როგორ უყურებს თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობას, თორემ განახლება გამუდმებით ხდება, მაგრამ შეუძლებელია წიგნებსაც აუარონ გვერდი რადგან დოქტორანტმა უნდა იცოდეს კვლევის ისტორია და მიდგომები.
საბჭოს წევრმა, ნიკოლოზ კიკნაძემ იკითხა, რომელი უცხო ენა აქვთ მიღების წინაპირობად, რაზეც უპასუხეს, რომ ინგლისური, გერმანული და ფრანგული აქვთ წინაპირობად, სამიდან ერთ-ერთი.
საბჭოს წევრმა განაცხადა, რომ როდესაც სავალდებულო ლიტერატურა მიეთითება რომელიმე უცხო ენაზე ეს ნიშნავს, რომ სტუდენტს უნდა შეეძლოს სასწავლო მასალის ათვისება ამ ენაზე, ერთ-ერთ სილაბუსში 4 განსხვავებულ ენაზე არის მითითებული სავალდებულო ლიტერატურა, რაც ძალიან დიდი პრობლემაა, რადგან როდესაც ერთ-ერთ ენაზე ჩააბარებს მისაღებ გამოცდას შეუძლებელია არ ჰქონდეს რუსული და ფრანგული სტატიის ათვისების უნარი, ეს ან უნდა შეიცვალოს ან გამოსწორდეს, ეს ეხება სასწავლო კურსს „ინტერტექსტუალობის პრობლემა შედარებით ლიტერატურათმცოდნეობაში“ და კიდევ რამდენიმე სილაბუსია ამ მიმართულებით.
მარიამ მირესაშვილმა განაცხადა, რომ როდესაც წერია ან ინგლისურს აბარებს, ან ფრანგულს, ან გერმანულს, ეს გულისხმობს, რომ „ინტერტექსტუალობის პრობლემა შედარებით ლიტერატურათმცოდნეობაში“ სამივე ენოვან ქვეყნებში კარგად არიას განვითარებული, შესაბამისად დოქტორანტს შეუძლია გაეცნოს მისთვის საინტერესო მასალას რომელიმე ენაზე.
მეოცე საუკუნის ფორმალისტური სკოლა ყველამ იცის რომ არის რუსული სკოლა და დაწესებულება უარს ვერ იტყვის, პრაღის სკოლას რასაც ეძახიან ესეც რუსულის სკოლაა. ამ ფორმალისტური სკოლის რუსულ მასალებს თარგმნიან სხვადასხვა ენაზე და თუ აქვთ რუსულ ენაზე დაწერილი უნდა მიაწოდონ, თუ დოქტორანტმა იცის ენა, თუმცა უკანასკნელ პერიოდში სულ უფრო ნაკლები დოქტორანტი მოდის, რომელსაც შეუძლია რუსულ ენაზე წაიკითხოს, უფრო მეტად ინგლისურ ენას ირჩევენ.
საბჭოსს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ არჩევით ლიტერატურაში შეუძლიათ სხვადასხვა ენაზე მასალების დადება, თუმცა სავალდებულოში არა.
მარიამ მირესაშვილმა განაცხადა, რომ რუსული რესურსები ნათარგმნია და არსებობს, თუმცა მათ არ მიუთითეს ქართულად, რადგან თუ რუსული იცის ჯობია რუსულად იკითხოს.
საბჭოს წევრმა, ნინო დობორჯგინიძემ განაცხადა, რომ ადრეც აღნიშნა რომ იცნობს პროგრამის განმახორციელებლებს და მათ კომპეტენციაში ეჭვი არ ეპარება. რაც შეეხება პაატა ბრეკაშვილის კითხვას, ნინო დობორჯგინიძე ვერ ხედავს პრობლემას, ერთი ან მეორე ლიტერატურა მითითებული იყოს სადოქტორო პროგრამის სილაბუსში, თუმცა სრულიად ეთანხმება მას, რომ ასეთის შემთხვევაში მითითებული უნდა იყოს სხვა კვლევითი ლიტერატურა, რაც მარიამ მირესაშვილმაც ახსნა, რომ ცაგარელიც უნდა წაიკითხოს და ბახტინიც და სხვა ევროპული ლიტერატურაც, თუმცა ეს აუცილებლად უნდა იყოს ასახული სილაბუსში და დარწმუნებულია, რომ დიდი ნაწილი, რაც მითითებული აქვთ ფრანგულ, ინგლისურ ან გერმანულენოვანი ლიტერატურა დამატებით ლიტერატურაში.
მარიამ მირესაშვილმა განაცხადა, რომ ალბათ არ უნდა გამიჯნონ ძირითადი/სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა, უბრალოდ უნდა თქვან ლიტერატურა და დაასახელონ ყველა, გაყოფილი რომ არის არ ჩანს და უცხო თვალი ვერ აღიქვამს.
ნინო დობორჯგინიძემ დაამატა, რომ დამხმარე ლიტერატურა არ აღიქმება ძირითად ლიტერატურად და გამოდის რომ მხოლოდ სილაბუსის ავტორის ორი წიგნი უნდა ისწავლოს ასე აღიქმება, რაც სადოქტორო საფეხურზე არ არის სწორი, ასევე თვითონვე აღნიშნეს, რომ ამას ასე აკეთებენ, დამატებით ლიტერატურასაც განიხილავენ, უბრალოდ ეს ასახული უნდა იყოს ძირითად ლიტერატურაში და არა მაგ., ერთი კონკრეტული მკვლევარის პრიზმიდან, რადგან თითოეული ადამიანი ამას განსხვავებულად აღიქვამს, და სწორედ იმ ორიგინალი ნაშრომების ავტორების პრიზმიდან უნდა იქნეს დანახული. ის რაც დამატებით ლიტერატურაში სადოქტორო საფეხურზე მხოლოდ ქართულენოვანი ლიტერატურა არ უნდა იყოს მითითებული, რასაც აკეთებენ უნდა აისახოს. მიღების წინაპირობა თუ არის ბევრი ენა მაშინ შესაძლებელია.

საბჭოს წევრმა, პაატა ბრეკაშვილმა განმარტა სავალდებულო და დამატებით ლიტერატურას შორის სხვაობა, რომ ეს არის სავალდებულო ლიტერატურა, რაც ნიშნავს, რომ მხოლოდ სავალდებულო ლიტერატურის გავლით და შემეცნებითი სტუდენტი გადის შედეგზე/კვალიფიკაციაზე და დამატებითი ლიტერატურა შეიძლება გაიაროს შეიძლება არა.
მარიამ მირესაშვილმა განაცხადა, რომ 100 ქულიანი სისტემიდან მხოლოდ სავალდებულო ლიტერატურის წაკითხვა/ათვისებით ის გავა 51 ქულაზე და ვინც დამატებითსაც წაიკითხავს ის გავა 100 ქულაზე, ანუ არსებობს მინიმალური კომპეტენცია და „ჰაი კლასი“, ეს ტერმინის ამბავია, უბრალოდ მისი აზრით, მინიმალური ლიტერატურა რაც შეუძლია რომ წაიკითხოს არის სავალდებულო და ვისაც პრეტენზია აქვს მაღალ ქულაზე ის წაიკითხავს დამატებით ლიტერატურასაც.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 19:58
დასრულების დრო: 20:10

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ლიტერატურისა და ლიტერატურის თეორიის სადოქტორო პროგრამის შესახებ ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0
აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა რეკომენდაციები.

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქართული ლიტერატურისა და ლიტერატურის თეორიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის გაუქმების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბურდული ირაკლი



უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
თიკანაშვილი ნიკა